პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 186 (13002) | სამშაბათი, 11 აგვისტო, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ხალხთა მეგობრობის დროშით

ნ. ს. ხრუშჩოვი ჩრდილოეთ ოსეთში

როგორც ვიუწყებოდით, 8 აგვისტოს ქ. ორჯონიკიძეში ჩავიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი **ნ. ს. ხრუშჩოვი.** მასთან ერთად ჩავიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ რესპუბლიკის ბიუროს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ლ. ნ. ეფრემოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. ი. პოლიაკოვი.**

თერგზე მდგომი ქალაქი სადღესასწაულოდ არის მორთული. სადგურ ორჯონიკიძის პერონზე **ნ. ს. ხრუშჩოვს** შეხვდნენ სკკპ ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ბ. ე. კაბალოევი,** ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **თ. ხ. ხეთაგუროვი,** რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. ა. ბასიევი,** სკკპ საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები, მინისტრები. აქვე არიან ზეიმზე ჩამოსული სტუმრები — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. პ. მეჟავნაძე,** პარტიის კრასნოდარის, სტავროპოლის, როსტოვის, დაღესტნის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, სამხრეთ ოსეთის, ადიღეს სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები: **გ. ი. ვორობიოვი, ფ. დ. კულაკოვი, ვ. ვ. ხარიბინი, ა. დ. დანიალოვი, ტ. კ. მალბახოვი, ფ. ე. ტიტოვი, ი. ს. ჩიაევი, ნ. ა. ბერზეგოვი,** ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, არმიის გენერალი **ი. ა. პლიევი,** ჩრდილოეთ კავკასიის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ა. ივანოვი.**

ვაგზლიდან ამხანაგი **ნ. ს. ხრუშჩოვი** ქარხანა „ელექტროთუთიაში“ წავიდა. ქარხნისაკენ მიმავალ გზაზე ძვირფას სტუმარს ათეულ ათასობით მშრომელი მეესლმა.

ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა** დაათვალიერა ქარხანა „ელექტროთუთია“, ესაუბრა საწარმოს ხელმძღვანელებს, საამქროების უფროსებს, მუშებს.

შემდეგ **ნ. ს. ხრუშჩოვი** კოლმეურნეობა „ხუმალაგში“ ცნობილ მესამინდეს **ხ. ა. ალბეგოვს** ესტუმრა. არტელის მშრომელები მხურვალედ და გულითადად შეხვდნენ ძვირფას სტუმარს. **ნიკიტა სერგეის-ძემ** დაათვალიერა ხ. ალბეგოვის რგოლის ყანები, რომლებსაც 200 ჰექტარი უკავია. წარჩინებული მესამინდე ახლა იმისათვის იბრძვის, რომ თითოეულ ჰექტარზე 120 ცენტნერი მარცვალი მიიღოს.

ყანაში **ნ. ს. ხრუშჩოვი** გულითადად ესაუბრა არტელისა და საწარმოო სამართველოს ხელმძღვანელებს, მერგოლურებს, კოლმეურნეებს. საუბარში მონაწილეობდნენ აგრეთვე ჩრდილოეთი კავკასიის ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების, საქართველოს ხელმძღვანელი მუშაკები.

ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა** თქვა, რომ უკეთ უნდა შეისწავლონ სარწყავი სიმინდის ნთესვების გაფართოების შესაძლებლობანი. უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მტკიცე საკვები ბაზა შეიქმნას ხორცისა და რძის წარმოებისათვის.

ასობით ადამიანმა მოიყარა თავი საველე ბანაკთან, სადაც მოწყობილია ხ. ალბეგოვის რგოლის მოწინავე გამოცდილების სკოლა. ბევრი მეზობელი სოფლებიდან ჩამოვიდა. შეკრებილნი აღფრთოვანებული მიესალმებოდნენ **ნ. ს. ხრუშჩოვს.** გაიმართა მიტინგი. **ნიკიტა სერგეის-ძემ** რესპუბლიკის მშრომელებს მიულოცა ეროვნული დღესასწაული — ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიის 40 წლისთავი, მადლობა გადაუხადა მათ კომუნიზმის მშენებლობის საკეთილდღეო კარგი შრომისათვის და ახალი წარმატებები უსურვა.

საღამოს მუსიკალურ-დრამატული თეატრის შენობაში გაიმართა სკკპ საოლქო კომიტეტისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიის 40 წლისთავს მიეძღვნა. სხდომაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა** და მისმა თანმხლებმა პირებმა.

ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **თ. ხ. ხეთაგუროვამ** გამოაქვეყნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ. **ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვმა** დამსწრეთა ტაშის გრიალში ორდენი გადასცა რესპუბლიკის წარმომადგენლებს.

მოხსენება ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიის 40 წლისთავის შესახებ გააკეთა სკკპ საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ბ. ე. კაბალოევმა.**

საზეიმო სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა.** (საკდესი).

ყოველ დილას ხიდისთავის კოლმეურნეობის (ჩოხატაურის რაიონი) ჩაის პლანტაციებში მკრეფავებთან ერთად ნახავთ მეათე კლასის მოსწავლეს დარიკო კალანდაძეს. მან უკვე მოკრიფა 1.600 კილოგრამი „მწვანე ოქრო“. ახლა იმისათვის იბრძვის, რომ კიდევ რამდენიმე კილოგრამი ფოთოლი მოკრიფოს.

სურათზე: მოწინავე მეჩაიე **დ. კალანდაძე.**

ფოტო ი. ნანიკაშვილისა (საკდესის ფოტოკორესპონდენტი).

ენგურს ორად გაუპია სალი კლდე და მისი ტალღები ჩანჩქერებად ეშხვრევა ლოდებს. სწორედ აქ, ამ თვალწარმტაც ადგილას მოსულან მშენებლები, რომ არტახებში მოამწყვდიონ, ხალხის სასახურში ჩააყენონ ბობოქარი მდინარე.

ბევრი მოწინავე ადამიანი მუშაობს ენგურჰესის მშენებლობაზე. აი, ერთი მათგანი, გვირაბგამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელი გურამ გოკაძე, მან ივლისის გეგმა გადაჭარბებით შესრულა და აგვისტოშიც იბრძვის პირველობისათვის.

სურათზე: გვირაბგამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელი გურამ გოკაძე.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

საერთაშორისო თათბირი კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების გზაა

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა საერთაშორისო თათბირის მოწვევის საკითხი ამყამად მთელი მსოფლიოს კომუნისტთა ყურადღების ცენტრშია.

ამ საკითხზე მსჯელობის შედეგად საკმაოდ მკაფიოდ გამოვლინდა ორი პოზიცია. კომპარტიათა აბსოლუტურმა უმრავლესობამ საჭიროდ ცნო უახლოეს მომავალში მოეწყოს ახალი საერთაშორისო თათბირი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იზიარებს ამ თვალსაზრისს. სხვა პოზიციაზე დადგნენ უკანასკნელ ხანს ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელები: მათი აზრით, თათბირი 4-5 წელზე ადრე არ უნდა მოვიწვიოთ და კიდევ უფრო უკეთესი იქნება, თუ სულ არ მოვიწვევთ. კომუნისტურ პრესას სრულიად სამართლიანად ეს პოზიცია მიიჩნია იმად, რომ ჯარს ამბობენ სხვა კომპარტიებთან კოლექტიურ კონსულტაციებზე, ცდილობენ თავიანთი ნება უკარნახონ მათ.

საბჭოთა კავშირის კომპარტია, სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიები, როცა კომპარტიების წარმომადგენელთა შეხვედრას მოწყობას მოითხოვენ, გამომდინარეობენ როგორც იმის საჭიროებიდან, რომ თანამედროვე ეტაპზე რევოლუციური ბრძოლის საარსებო ამოცანები კოლექტიურად გადაწყდეს, ისე იმ ტრადიციებიდან, რომლებიც ოდითგანვე დამყარდა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში: საკითხები, რომლებიც მთელი მსოფლიოს კომუნისტების საერთო ინტერესებს ეხება, მოძმე პარტიათა საერთაშორისო ფორუმებზე უნდა გადაიჭრას.

წელს სრულდება ასი წელი რევოლუციური პროლეტარიატის წარმომადგენელთა პირველი საერთაშორისო შეხვედრის დღიდან, რომელიც მარქსისა და ენგელსის ინიციატივით მოიწვიეს და რომელმაც დასაბამი მისცა კომუნისტთა საერთაშორისო გაერთიანებას — პირველ ინტერნაციონალს. მომდევნო ათეული წლების განმავლობაში მუშათა პარტიების წარმომადგენლები რეგულარულად მართავდნენ კონგრესებსა და კონფერენციებს რევოლუციური ბრძოლის საერთო ამოცანათა კოლექტიურად განხილვისათვის.

თანამედროვე პირობებში საერთაშორისო თათბირი მთელი მსოფლიოს კომუნისტთა ერთად შემოქმედებითი მუშაობის ყველაზე მიზანშეწონილი ფორმაა, მოძმე პარტიათა შეკავშირების განმტკიცების, მათ წინაშე წარმოქმნილი სიძნელეების წარმატებით დაძლევის ყველაზე ეფექტიანი გზაა.

1957 და 1960 წლების თათბირების მნიშვნელობა საყოველთაოდ აღიარებულია მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში. მათ ქმშარიტად ისტორიული როლი შეასრულეს ლენინური პრინციპების საფუძველზე კომუნისტური მოძრაობის განვითარებასა და განმტკიცებაში. თათბირებზე მიღებული დოკუმენტები — დეკლარაცია და განცხადება — დიდმნიშვნელოვანი წვლილია მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი განვითარების საქმეში, მთელი მსოფლიოს კომუნისტთა შეკავშირების, მუშათა კლასის ინტერესების დაცვისათვის ბრძოლის გაძლიერების, სოციალიზმის ძალების განმტკიცების საქმეში. შეფასებანი და დასკვნები, რომლებსაც დეკლარაცია და განცხადება შეიცავს, კარგი ორიენტირი გახდა აგრეთვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კიდევ უფრო გასაშლელად, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად, დიდმნიშვნელოვანი ბურჯი გახდა თანამედროვეობის მთელი პროგრესული ძალებისათვის. ახლა წარმოუდგენელია რევოლუციური მოძღვრება ისე, რომ არ იყოს ეს დოკუმენტები, მათში ჩამოყალიბებული პრინციპული დასკვნები და დებულებები. თათბირებში მონაწილე ყველა პარტიამ ნებაყოფლობით და ერთსულოვნად იკისრა ვალდებულება დაიცვას ამ დოკუმენტების პრინციპული დებულებანი.

უკანასკნელი წლების გამოცდილებამ დაადასტურა, რომ მოძმე პარტიების მიერ ერთად შემუშავებული მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გენერალური ხაზი ერთადერთი სწორი ხაზია. 1960 წლის თათბირის შემდეგ ოთხი წელი გავიდა. ამ დროის მანძილზე მსოფლიოში ბევრი დიდმნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, რომლებიც მოითხოვენ ახალ კოლექტიურ შესწავლასა და განხილვას, ახალ შეფასებასა და დასკვნებს. საჭირო გახდა ერთად შეიკრიბონ კომუნისტები და შეაჯამონ 1960 წლის თათბირის შემდეგ განვლილი ეტაპების შედეგები, ერთმანეთს გაუზიარონ ახალი გამოცდილება, აგრეთვე შემოქმედებითად განიხილონ ახალი პრობლემები, რომლებიც მსოფლიო კომუნიზმის წინაშე დგება, შეავსონ და განავითარონ დეკლარაციისა და განცხადების იდეები.

მარქსისტ-ლენინელები გვერდს ვერ აუვლიან იმას, რომ გასული 4 წლის განმავლობაში მათ რიგებში დიდი უთანხმოებანი გამოვლინდა, რომლებიც არათუ არ კარგავენ სიმწვავეს, არამედ სულ უფრო სერიოზულ ხასიათს იღებენ. დღეისათვის ეს უთანხმოებანი უკვე აშკარა კონფლიქტში გადაიზარდა, რომელმაც, თუ ერთობლივი მეცადინეობით არ აღკვეთეთ, შეიძლება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გათიშვა გამოიწვიოს.

სულ უფრო მეტი ფაქტი მოწმობს, რომ კომუნისტთა რიგებში მომხდარი უთანხმოებანი, რომლებიც ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელთა ინიციატივით წარმოიშვა, ყოველმხრივ ცდილობენ გამოიყენონ იმპერიალიზმისა და რეაქციის ბანაკში. პოლიტიკური ბრძოლა მარქსისტულ-ლენინური პარტიების წინააღმდეგ, რომელიც პეკინმა წამოიწყო, არყევს სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მეგობრობას, არევ-დარევა შეაქვს მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა რიგებში, მან შეიძლება შეასუსტოს სოციალიზმის იდეების მიმზიდველი ძალა. იგი ზიანს აყენებს მთელ კომუნისტურ მოძრაობას, ფრიად უარყოფითს გავლენას ახდენს ბევრი კომუნისტური პარტიის, განსაკუთრებით კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიების საქმიანობაზე. შინაპარტიული ფრაქციული ბრძოლა ცალკეული კომპარტიების რიგებში, რომელსაც ჩინელი გამთიშველები აწყობენ, უადგილებს რეაქციას იერიში მიიტანოს მშრომელთა ინტერესებზე. დიდი ზიანი მოაქვს ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირების საქმისათვის. ეს განსაკუთრებით საშიშია იმასთან დაკავშირებით, რომ მთელ რიგ ქვეყნებში კვლავ გააქტიურდნენ ფაშისტური ძალები. იმპერიალისტები ცდილობენ შეინარჩუნონ ომის საფრთხის ძველი კერები და შექმნან ახალი კერები. ის, რომ ამერიკელმა იმპერიალისტებმა და მათი ნებასურვილის შემსრულებელმა სამხრეთ-ვიეტნამელმა მხედრიონმა გააქტიურეს აგრესიული მოქმედება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ჩვენი მტრები ცდილობენ გამოიყენონ სიძნელეები, რომლებიც ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელთა გამთიშველი საქმიანობის შედეგად წარმოიშვა.

ასეთ პირობებში უაღრესად საჭიროა განვახორციელოთ ღონისძიებანი თანამედროვე მსოფლიოს მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების შესაკავშირებლად, უწინარეს ყოვლისა მისი მთავარი რაზმების — სოციალისტური ქვეყნების ხალხების კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების შესაკავშირებლად. მათი გაერთიანებული მეცადინეობა მიზნად უნდა ისახავდეს ბრძოლის გაძლიერებას მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, იმპერიალისტთა, კოლონიზატორთა და რეაქციონერთა ხრიკების წინააღმდეგ. თითოეული ამ რაზმის წინაშე ახალ გითარებაში დგება როგორც სპეციფიკური ამოცანები, ისე დემოკრატიული განვითარებისათვის, უშიშროებისა და სოციალური პროგრესისათვის ერთობლივი ბრძოლის საერთო ამოცანები.

კომუნისტური პარტიები გულგრილი ვერ დარჩებიან ასეთ სიტუაციაში. ისევე როგორც წინათ, როცა წამოჭრილ ახალ პრობლემებს კოლექტიური მეცადინეობით განიხილავდნენ და წყვეტდნენ საერთაშორისო კონგრესები და კონფერენციები, ისევე ახლაც მარქსისტ-ლენინელებს საჭიროდ მიაჩნიათ შეიკრიბონ ერთად, მოაწყონ საერთაშორისო თათბირი აზრთა გასაზიარებლად და ერთობლივ გადაწყვეტილებათა მისაღებად.

კომპარტიათა აბსოლუტური უმრავლესობის აზრის საწინააღმდეგოდ ჩინეთის

(დასასრული მე-3 გვერდზე)

შეწყდეს საომარი მოქმედება კვიპროსის წინააღმდეგ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ისმეთ ინენიუს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მოუწოდებს თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შეწყვიტოს საომარი მოქმედება კვიპროსის რესპუბლიკის წინააღმდეგ. იარაღის გამოყენება, ხაზგასმით აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, შეუფერებელი საშუალებაა ეროვნებათა ურთიერთობის რთული საკითხების გადაჭრისათვის.

დეპეშაში ნათქვამია, რომ კვიპროსის მოსახლეობას, როგორც კვიპროსელ თურქებს, ისე კვიპროსელ ბერძნებს, უნდა მიეცეს შესაძლებლობა თვითონ გადაჭრას თავისი ქვეყნის საკითხები, უცხოელთა ჩაურევლად.

საბჭოთა მთავრობის მეთაური წერს, თუ რა პასუხისმგებლობას კისრულობს თურქეთის მხარე, როცა იარაღით თავს ესხმის კვიპროსის რესპუბლიკას, სუვერენულ სახელმწიფოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრს.

დეპეშაში კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი არქიეპისკოპოს მაკარიოსისადმი ნ. ს. ხრუშჩოვი წერს, რომ მოუწოდა თურქეთის პრემიერ-მინისტრს შეწყვიტოს საომარი მოქმედება კვიპროსის რესპუბლიკის წინააღმდეგ, აგრეთვე მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ყოველი ღონისძიება იხმაროს, რათა კვიპროსის პრობლემა მშვიდობიანად მოწესრიგდეს კვიპროსელი ხალხის ინტერესებისათვის.

დეპეშაში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, უ თანს გაუგზავნა, ნ. ს. ხრუშჩოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა სისხლისღვრა შეწყვიტოს კვიპროსში და ამით აღკვეთოს მოვლენათა საშიში განვითარება, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს. იგი გამოთქვამს იმედს, რომ გენერალური მდივანი ყოველ ღონეს იხმარს, რათა რაც შეიძლება მალე განახორციელოს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებანი, რომლებშიც დასახულია კვიპროსის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების გზები.

(საკდესი).

ინდოეთის პრეზიდენტ ს. რადჰაკრიშნანის საბჭოთა კავშირში მომავალი ვიზიტის გამო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რამდენიმე ხნის წინათ ინდოეთის პრეზიდენტ სარვაპალი რადჰაკრიშნანს სთხოვა ეწვიოს საბჭოთა კავშირს.

ინდოეთის პრეზიდენტი კმაყოფილებით დათანხმდა ამ მიწვევაზე და მიღწეული მოლაპარაკების შესაბამისად მოსკოვში ჩამოვა 1964 წლის სექტემბრის- პირველ ნახევარში.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ყაზანში ჩავიდა

ყაზანი, 9 აგვისტო. (პრეს-ჯგუფი). დღეს ყაზანში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი **ნ. ს. ხრუშჩოვი,** რომელიც მოგზაურობს ჩვენს ქვეყანაში. ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვთან** ერთად აქ ჩამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ლ. ნ. ეფრემოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. ი. პოლიაკოვი.**

აეროდრომზე ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვს** შეხვდნენ პარტიის თათრეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ფ. ა. ტაბეევი,** თათრეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ს. გ. ბატიევი,** თათრეთის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ა. ანდრუშიკოვი** და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა** დაათვალიერა ქალაქი. ყაზანის ათასობით მცხოვრები მხურვალედ მიესალმა **ნიკიტა სერგეის-ძეს.**

ა. ი. მიქოიანი ვარშავაში ჩავიდა

ვარშავა, 10 აგვისტო. (საკდესი). პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის, სრულიად პოლონეთის ხალხის ერთიანობის ფრონტის კომიტეტის თავმჯდომარის ალექსანდრე ზავადსკის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად დღეს დღისით ვარშავაში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ი. მიქოიანი.

ნატოს წარმომადგენლის განცხადება

პარიზი, 10 აგვისტო. (საკდესი). თურქეთმა აცნობა ნატოს, რომ დროებით გაჰყავს ნატოდან თავისი სამხედრო-საჰაერო ძალების ზოგიერთი ქვედანაყოფი „ეროვნული ინტერესებისათვის“ გამოსაყენებლად, გამოაცხადა დღეს ნატოს მთავარი ბინის წარმომადგენელმა ევროპაში.

მე-6 ფლოტი კვიპროსისაკენ მიდის

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. (საკდესი)/ გუშინ საღამოს საგანგებო ბრძანებით ნეაპოლიდან გავიდა ამერიკის მე-6 ფლოტის ავიამზიდი ოპერატიული ჯგუფი და, როგორც ჩანს, კურსი კვიპროსისაკენ აიღო, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგანგეტო.

დღეს ამ ჯგუფს შეუერთდა მე-6 ფლოტის ფლაგმანი „სპრინგფილდი“. ოპერატიულ ჯგუფში შედიან აგრეთვე ავიამზიდი „ფრანკლინ დელანო რუზველტი“, კრეისერი „ბოსტონი“ და სხვა ხომალდები.



თავდასხმა განახლდა

პარიზი, 10 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ნიკოზიიდან იუწყება: დღეს დილის 8 საათზე ადგილობრივი დროით თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა განაახლეს თავდასხმა კვიპროსის კუნძულის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის დასახლებულ პუნქტებზე.

ეი უკვე მესამე დღეა თურქეთის თვითმფრინავები იყენებენ რაკეტებს, ბომბებსა და ტყვიამფრქეველებს და ცეცხლს უშენენ მშვიდობიან შებადურთა სოფლებსა და ქალაქებს კვიპროსის ჩრდილოეთ სანაპიროზე.

როგორც უცხოეთის საააგენტოები იუწყებიან, დღეს თურქეთის რეაქტიულმა ავიაგამანადგურებლებმა ეირიში მიიტანეს მანსურასა და პოკამოსს შორის მდებარე დასახლებულ პუნქტებზე, აგრეთვე დასახლებულ პუნქტ პოლისზე.

გარდამავალი წითელი დროშეგი — მოწინავეებს

გორი. (საკ. კორ.). კომისიამ გასულ წელს მაღალი მოსავლის მიღებისა და მიმდინარე წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ბაღების ხანმოშრეო დამშავებისათვის გორის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის და საწარმოო სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშები მიაკუთვნა მარცვლეულ კულტურებში **რუსის სახელოთა მეურნეობას** (დირექტორი ი. გოგოლაძე, პარტბიუროს მდივანი ს. ჭიპაშვილი, პროფკომიტეტის თავმჯდომარე გ. გურასაშვილი); მეხილეობაში — **დაბა ქარელის კოლმეურნეობას** (თავმჯდომარე ხ. რაზმაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ც. გოხელაშვილი); მეპარხლეობაში — სოფელ **ფლავის კოლმეურნეობას** (თავმჯდომარე შ. ეცადაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ო. თენაძე); მებოსტნეობაში — **კარალეთის საბჭოთა მეურნეობას** (დირექტორი მ. ჯამაშვილი, პარტბიუროს მდივანი ვ. სუხიშვილი, პროფკომიტეტის თავმჯდომარე შ. ბერიშვილი); მეცხოველეობაში — **სოფელ ქვეშის კოლმეურნეობას** (თავმჯდომარე რ. ანანიაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ა. ნატრიაშვილი).

გორის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტისა და გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა **მერეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომს** (თავმჯდომარე ზ. მარიამაძე), რომელსაც რაიონში ეკავა თვის შედეგების მიხედვით ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები აქვს სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვისა და ფულადი სახსრების მობილიზაციის საქმეში.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ქალაქ ორჯონიკიძეში 1964 წლის 8 აგვისტოს

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს ჩრდილოეთ ოსეთის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, ყველა მშრომელი აღნიშნავენ დიდ და სასიხარულო დღესასწაულს — ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის 40 წლისთავს, რომელიც 1936 წელს გარდაიქმნა ავტონომიურ სოციალისტურ რესპუბლიკად. თქვენი დღესასწაული საბჭოთა კავშირის ხალხების საერთო დღესასწაულია, რომლებიც ერთიან მწყობრში მიდიან კომუნიზმის მშენებლობის გზით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით გულითადად გილოცავთ სახელოვან იუბილეს ამ საზეიმო სხდომის მონაწილეებს და თქვენი სახით რესპუბლიკის ყველა მშრომელს.

მე განსაკუთრებული კმაყოფილება განმაცდევინა იმან, რომ თქვენს რესპუბლიკას გადავეცი მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში თვალსაჩინო წარმატებებისათვის.

ნება მიბოძეთ კიდევ ერთხელ მხურვალედ, სულითა და გულით მოგილოცოთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, მთელ მს ხალხს ეს მაღალი და დამსახურებული ჯილდო.

ამხანაგებო! დიდი და სახელოვანი გზა გაიარა ჩრდილოეთ ოსეთის ხალხმა. მისი ბედი რევოლუციამდელ წარსულში ჰგავს ბევრი სხვა მომძე ხალხის ბედს, რომლებსაც ჩაგრავდა ცარიზმი, ექსპლოატაციას უწევდნენ მემამულეები და კაპიტალისტები.

მშრომელი ოსი მთიელები რუს და ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის სხვა ხალხებთან მხარდამხარ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ედგა მისი დიდი დამაარსებელი და ბელადი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, გაბედულად იბრძოდნენ კლასობრივი და ეროვნული უღლისაგან განთავისუფლებისათვის. ოსი ხალხის გამოჩენილმა შვილმა, ოსური ლიტერატურის დამაარსებელმა, რევოლუციონერმა-დემოკრატმა კოსტა ხეთაგუროვმა თავის ნაწარმოებებში მკაფიოდ ასახა მთიელი ღარიბების ცხოვრება, გვიჩვენა ხალხის სიძულვილი ექსპლოატატორებისადმი, მისი სწრაფვა თავისუფლებისაკენ.

იმ წლებში კოსტა ხეთაგუროვი მგზნებარედ მოუწოდებდა:

ოსეთის შვილნო,
ვიყოთ, ვით ძმები!
ერთმანეთს ტკბილად
ჩვენ ვეგებებით.

შევხარით ხალხის
მძლე დროშას, დიადს,
ძლევის სიმღერით
ვეტრფით განთიადს.

მედგარ ნაბიჯით
შევხვდი სიმართლეს,
შევხვდი სიმართლეს,
კაშკაშას, ნათელს.

ყოველგვარი ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის მუშათა კლასის, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის ბელადი და ორგანიზატორი იყო ლენინური კომუნისტური პარტია. მან ამ ბრძოლაში გააერთიანა მთელი ხალხი. პარტიამ მთიულებს გაუგზავნა თავისი გამოჩენილი მოღვაწეები, ერთგული ლენინელები ს. მ. კიროვი და გ. კ. ორჯონიკიძე.

ბოლშევიკთა მგზნებარე მოწოდებებით აღფრთოვანებული მთიელი ხალხები აღსდგნენ საბრძოლველად საბჭოთა ხელისუფლებისათვის, თეთრგვარდიული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. გმირული ბრძოლის მსვლელობაში ოსი ხალხის რიგებიდან გამოვიდა ბევრი თვალსაჩინო რევოლუციონერი. მათ შორის გიორგი ცაგოლოვი, სახანჯერი მამსუროვი, კაზბეკ ბუტაევი, ნიკოლოზ კესაევი, დანიელ ტოგოევი, კაზბეკ ბოროუკაევი, სიმონ ტაკოევი და ბევრი სხვა. ოსეთის მშრომელების მამაცობასა და თავდადებულ ბრძოლას რევოლუციისა და სამოქალაქო ომის წლებში, იმას, თუ რა მსხვერპლი გაიღეს მათ, მოგვაგონებს ობელისკი, რომელიც აგებულია ქალაქ ორჯონიკიძეში. აქ ძმათა საფლავში განისვენებს ჩვენი 17 ათასი სახელოვანი ამხანაგი, რომლებიც დაიღუპნენ დენიკინის კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. სამარადისო დიდება თქვენ, რევოლუციური ბრძოლების უკვდავო გმირებო!

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ოს ხალხს, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს, გაუხსნა მატერიალური და სულიერი ძალების ყოველმხრივი აყვავების გზა. და თქვენი რესპუბლიკის მთელი ცხოვრება, მისი განვითარების სახელოვანი გზა ცხადყოფს ამას.

როდესაც ჰიტლერელი დამპყრობლები ვერაგულად დაესხნენ თავს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს, ოსი ხალხის შვილებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გვიჩვენეს გმირობის ნიმუშები ფაშისტ ბარბაროსების წინააღმდეგ ბრძოლაში. დიდ სამამულო ომში გმირობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა ოსი ხალხის 53 შვილს. საბჭოთა არმ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(დასასრული)

მოიპოვა კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდება.

კომუნისტური შრომისათვის შეჯიბრების მოწინავეთა შორის რესპუბლიკაში ფართოდ არიან ცნობილი სადონის მაღაროს გვირაბგამყვანთა ბრიგადის ბრიგადირი ტიმოლატ კაიტუკოვი, ქარხანა „ელექტროთუთიის“ ტყვიის საამქროს მეკაზმე აკიმ აბაევი, № 2 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი დიმიტრი გზაევი, სახლთმშენებლობის კომბინატის მღებავთა ბრიგადირი ხინო ხოჩაროვა, მოზდოკის ფარდების ფაბრიკის საქსელ-საქსოვი საამქროს ოსტატის თანაშემწე ნიკოლოზ პრუდნიკოვი და მრეწველობის ბევრი სხვა შუქურა.

თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს ჩრდილოეთ ოსეთის მშრომელებმა სოფლის მეურნეობის განვითარებაშიც.

მარცვლის, ხორცისა და რძის წარმოება უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში 1,9-ჯერ გაიზარდა. რესპუბლიკა წარმატებით ასრულებს სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის ნაკისრ ვალდებულებებს.

ჩრდილოეთ ოსეთმა გამოზარდა სოფლის მეურნეობის შესანიშნავი ოსტატები. მათ შორის არის კოლმეურნეობა „ხუმალაგის“ წარჩინებული მესამინდე, სოციალისტური შრომის გმირი ხარიტონ ალბეგოვი. მისმა რგოლმა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში თვითეულ ჰექტარ სარწყავ მიწაზე 80-90 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მოიწია. კოლმეურნეობა „ჩერმენის“ მერგოლურს ტემირბი ალაგოვს აი უკვე რამდენიმე წელია ყოველწლიურად ორასი ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე საშუალოდ 70 ცენტნერი მარცვალი მოჰყავს. ასეთივე დიდი მაჩვენებლები აქვს საბჭოთა მეურნეობა „ცალაკის“ ნიკოლოზ ბლაზნოვის მექანიზებულ რგოლს.

სახელი და დიდება რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებს! თავიანთი თავდადებული შრომით ისინი იმის მაგალითს ვვიჩვენებენ, თუ როგორ უნდა ვიბრძოლოთ სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის.

დიდი მიღწევები აქვს ჩრდილოეთ ოსეთს კულტურის განვითარებაშიც. თქვენმა ხალხმა, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებმა, უდიდესი წარმატებები მოიპოვა კულტურის განვითარებაში. ჩრდილოეთ ოსეთი მთლიანი წიგნიერების რესპუბლიკა გახდა, გაიზარდა ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრები — მასწავლებლები, ექიმები, ინჟინრები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, შემოქმედებითი ინტელიგენცია. რესპუბლიკის მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში შარშან დაახლოებით 25 ათასი კაცი სწავლობდა.

წარმატებით ვითარდება ოსური ლიტერატურა და ხელოვნება, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მრავალეროვანი სოციალისტური კულტურის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია.

განუხრელად უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა, ძირფესვიანად შეიცვალა რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების სახე. რესპუბლიკის თითქმის ყველა დასახლებული პუნქტი ელექტრიფიცირებული და რადიოფიცირებულია. აშენდა ბევრი კულტურის სახლი, კლუბი, ბიბლიოთეკა, პოლიკლინიკა, საავადმყოფო, საბავშვო ბაღი და ბაგა, ახალი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი.

მიღწევები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის აღმავლობაში, კულტურის განვითარებაში საოლქო პარტიული ორგანიზაციის დიდი მუშაობის, მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა მშრომელის თავდადებული შრომის შედეგია.

ჩრდილოეთ ოსეთის წარმატებები, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა მოძმე რესპუბლიკების წარმატებები, მკაფიოდ ადასტურებს ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას, რომელსაც მტკიცედ და თანამიმდევრულად ახორციელებს ჩვენი პარტია. მხოლოდ სოციალიზმის პირობებში მიიღო ყველა ხალხმა თავისი ეკონომიკისა და კულტურის აყვავების, მთელი თავისი ნიჭის, ტალანტის განვითარების მთელი შესაძლებლობა.

საბჭოთა ხალხების ურღვევი ძმური მეგობრობა ჩვენს ქვეყანაში გრანდიოზული სოციალური გარდაქმნებისა და პარტიის უდიდესი აღმზრდელობითი მუშაობის ხორცშესხმული მაგალითია. ჩვენ ყველანი ვამაყობთ, რომ საბჭოთა კავშირი ახლა ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ნიმუშია, ხალხთა უდიდესი ერთობისა და შეკავშირების მაგალითია.

ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე დამყარებული ხალხთა მეგობრობა სოციალისტური წყობილების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია. იქ, სადაც მოისუსტებს ინტერნაციონალური აღზრდა, მაშინვე წამოჭყოფს ხოლმე თავს ნაციონალიზმის გადმონაშთები. ჩვენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამით უნდა ვხელმძღვანელობდეთ და ყოველი ღონისძიებით განვამტკიცებდეთ ხალხთა მეგობრობას, შეურიგებლად უნდა ვიბრძოდეთ ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ. საბჭოთა ადამიანები თავიანთი გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ ყოველი სოციალისტური რესპუბლიკა მხოლოდ სსრ კავშირის მოძმე სოციალისტური ერების დიად ოჯახში შეიძლება განვითარდეს, აყვავდეს და განმტკიცდეს.

ამხანაგებო! დღეს დიდი დღესასწაული გაქვთ. ამ დღესასწაულს თქვენთან ერთად აღნიშნავს ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის ყველა ერი და ხალხი. თქვენ, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო გესიამოვნებოდათ, რომ დღესასწაულზე მხოლოდ ქება-დიდება მოგესმინათ დიდი წარმატებების გამო და, როგორც ჩანს, არც ისე სასიამოვნოა მოისმინოთ სიტყვები თქვენი მუშაობის ნაკლოვანებათა შესახებ. მაგრამ მე უკვე ბევრი ვილაპარაკე თქვენს მართლაც რომ დიდ მიღწევებსა და გამარჯვებებზე. ახლა კი მაინც მინდა ვთქვა, რომ ჯერ კიდევ ვერ იყენებთ მთლიანად არსებულ შესაძლებლობებს ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ცნობილია, რომ ჩრდილოეთ ოსეთში ხელსაყრელი პირობებია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, კერძოდ, სიმინდის მოყვანისათვის. მაგრამ თქვენში სხვადასხვაგვარი მეურნეობებია. გარუბნის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობა „ილიჩის ანდერძის“ მშრომელებმა 1963 წელს 440 ჰექტარ ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე 46 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მოიწიეს, კიროვის საწარმოო სამმართველოს კარლ მარქსის სახელობის არტელის კოლმეურნეებმა კი 1.000 ჰექტარ ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე 41 ცენტნერი მიიღეს.

მაგრამ თქვენში ისეთი მეურნეობებიც არის, რომლებიც ჰექტარზე სულ 10-15 ცენტნერს იღებენ.

მთლიანად რესპუბლიკაში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შარშან ჰექტარზე საშუალოდ 23 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მოიწიეს. რა შეიძლება ითქვას ასეთ მაჩვენებლებზე? თქმაც კი უხერხულია, ძალიან ცოტაა, ამხანაგებო. მეზობელი — ყაბარდო-ბალყარეთის ასს რესპუბლიკამ ხომ, რომელიც, სხვათაშორის, თქვენ გეჯიბრებათ, შარშან ჰექტარზე 34 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მოიწია.

დიდი არ არის თქვენში მეცხოველეობის პროდუქტიულობა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1963 წელს საშუალოდ ერთმა ძროხამ 1.355 კილოგრამი რძე მოიწველა, მაშინ, როცა მოწინავე მწველავები სამი ათას კილოგრამზე მეტს წველიან.

მაშ რა ხდება? ჩრდილოეთ ოსეთის მიწები არაფრით არ ჩამოუვარდება თქვენი მეზობელი ავტონომიური რესპუბლიკების მიწებს, ხალხი შესანიშნავი გყავთ. როგორც ჩანს, უკეთ უნდა იმუშაოთ, უკეთ უნდა დარაზმოთ ადამიანები, უფრო აქტიური და ბეჯითი პროპაგანდა გაუწიოთ და დანერგოთ მოწინავე მეურნეობათა გამოცდილება, მტკიცედ იაროთ საოსფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის გზით. ფართოდ უნდა გამოიყენოთ იმ მეურნეობათა გამოცდილება, რომლებიც უზვ მოსავალს იღებენ სარწყავ მიწებზე.

ჯერ კიდევ დიდია მრეწველობისა და მშენებლობის გამოუყენებელი რეზერვები. თუმცა მთლიანად წარმოების გეგმა სრულდება, მთელი რიგი საწარმოები თავს ვერ ართმევენ საგეგმო დავალებებს.

გამოდის, რომ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას, სამეურნეო ორგანოებს, პროფკავშირულ ორგანიზაციებს, კომკავშირს არავითარი საფუძველი არა აქვთ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით. პირიქით, შეუპოვრად უნდა იბრძოლოთ ახალი წარმატებებისათვის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, შრომის ნაყოფიერების განუხრელი გადიდებისათვის, პროდუქციის წარმოების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ აღვნიშნავთ საბჭოთა ჩრდილოეთ ოსეთის — ჩრდილოეთი კავკასიის ერთ-ერთი ხალხის შესანიშნავ იუბილეს, ხალხისა, რომელსაც დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების გზა გადაუშალა. ბევრი სიძნელე იყო ახალი ცხოვრების მშენებლობის გზაზე. მაგრამ საბჭოთა ადამიანებმა დაძლიეს სიძნელეები და ოსი ხალხი ყველა მოძმე ხალხთან ერთად, თავდადებულად შრომობს კომუნისტური მშენებლობის ფრონტზე.

მთელი ჩვენი დიდი მრავალეროვანი სამშობლო ამსხვრევს დაბრკოლებებს თავის გზაზე, ახლა მტკიცედ და რწმენით ალსავსე მიდის კომუნიზმის მწვერვალებისაკენ და მთელ მსოფლიოს განაცვიფრებს გმირობით შრომასა და ბრძოლაში, უდიდესი მიღწევებით ცხოვრების ყველა დარგში. დიდი გარდაქმნები განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ახლა სხვა საზომით ვუდგებით წარმატებებს, მიღწევებს. ორმოციოდე წლის წინათ საბჭოთა ხალხი ამაყობდა ვოლხოვის ჰიდროელექტროსადგურით, რომლის სიმძლავრე დაახლოებით 60 ათასი კილოვატი იყო. ახლა კი ყოველწლიურად მწყობრში დგებიან თბო და ჰიდროელექტროსადგურები, რომელთა სიმძლავრე მილიონობით კილოვატია. ოდესღაც სიხარულით შევცქეროდით პირველ საბჭოთა ტრაქტორს, ახლა კი ჩვენი მრეწველობა წელიწადში ასიათასობით ტრაქტორს უშვებს. რა სიხარულით ვეგებებოდით ცნობებს პირველი მუშათა ფაკულტეტების გახსნის შესახებ, ახლა კი ჩვენში ყოველ მეორე მომუშავეს საშუალო ან უმაღლესი განათლება აქვს.

აი კომუნიზმის სამყაროში მიმავალი ხალხის გიგანტური ნაბიჯები!

სკკპ XXII ყრილობის მიერ მიღებულ პარტიის პროგრამაში დასახულია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გრანდიოზული გეგმა. როგორც პირველი სამი წლის შედეგები გვიჩვენებენ, ჩვენი მრეწველობა წარმატებით ასრულებს პროგრამით დასახულ ამოცანებს. შვიდწლედის გეგმის დავალებებს წარმატებით ასრულებს ჩვენი მრეწველობა.

მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა სოფლის მეურნეობამ. პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებანი მინერალური სასუქების წარმოების მკვეთრად გადიდების შესახებ, სოფლის მეურნეობის გადაყვანა ინტენსიფიკაციის გზაზე მტკიცე საფუძველს უყრის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარებას.

ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში ვიყავი: სარატოვის, ვოლგოგრადის, როსტოვის ოლქებში, კრასნოდარის მხარეში. ახლა კი თქვენთან ჩამოვედი თქვენი რესპუბლიკის დიდი დღესასწაულის დღეს. ახლა ბურჟუაზიული პრესა მკითხაობს, რატომ გადაწყვიტა ხრუშჩოვმა საბჭოთა ქვეყანაში მოგზაურობაო. სხვადასხვა ვარაუდს გამოთქვამენ. მათ შორის არის ასეთებიც რომ, თითქოს, საბჭოთა კავშირში კვლავ გვალვაა, მოუსავლიანობაა და ხრუშჩოვი იმიტომ მოგზაურობს, რომ ნახოს, რომელი რაიონებიდან მიიღოს პური და შეუძლია თუ არა საბჭოთა კავშირს არ შეისყიდოს მარცვალიო.

რა შეიძლება ეუთხრათ ასეთ „წინასწარმეტყველებს“? დიახ, მე მართლაც იმიტომ ვმოგზაურობ ჩვენს ქვეყანაში, რომ დავხედო პურეულს, ვნახო ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების პირველი შედეგები, უმთავრესად კი იმისათვის, რომ ვესაუბრო ხალხს — კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სპეციალისტებს, მეცნიერებს, პარტიულ ხელმძღვანელებს, თუ როგორ გამოვიყენოთ უკეთ ჩვენი უდიდესი შესაძლებლობანი.

ჩემთვის სასიამოვნო იყო მენახა, რომ ყველგან, სადაც კი ვიყავი, კარგი მოსავალია მოყვანილი. ვოლგისგაღმა ყამირ მიწებზე, ვოლგის მარჯვენა ნაპირზე და დონის მიდამოებში შესანიშნავი ხორბლის უზარმაზარი მასივები ვნახე. სულ ცოტა ხნის წინათ ამ მიწებზე ვაკიწყვერა ხარობდა. ახლა ხალხმა აითვისა ყამირი და წინათ ცარიელი მიწები ჰექტარზე 20-25 ცენტნერ მარცვალს იძლევიან. და ეს სასუქების გამოუყენებლად. მავრამ როცა ხორბლის ყანებში სასუქების შეტანას შევძლებთ, მოსავალი კიდევ უფრო გაიზრდება.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სწრაფად იღებენ მოსავალს, წარმატებით მიმდინარეობს პურის დამზადება. ჩვენი ქვეყნის ისეთი უდიდესი რაიონები, როგორიცაა სარატოვის, ვოლგოგრადის, როსტოვის ოლქები, კრასნოდარის მხარე სახელმწიფოს ორას-ორას მილიონ ფუთსა და მეტ მარცვალს მიჰყიდიან. ეს ვოლგისპირეთის, დონისა და ყუბანის მშრომელთა დიდი გამარჯვება იქნება.

თქვენ გახსოვთ, რომ შარშან როსტოვის ოლქმა სახელმწიფოს მიჰყიდა მხოლოდ 121 მილიონი ფუთი მარცვალი, ვოლგოგრადის ოლქმა 50 მილიონი, სარატოვის ოლქმა — 165 მილიონი ფუთი მარცვალი.

კარგად აწარმოებენ პურის დამზადებას უკრაინის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. 5 აგვისტოსათვის რესპუბლიკამ უკვე მიჰყიდა სახელმწიფოს 500 მილიონი ფუთი მარცვალი — 190 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე შარშან.

თავი გამოიჩინა უზბეკეთის რესპუბლიკამ. უზბეკეთის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა შეჯიბრება გააჩაღეს ბამბის წარმოების გადიდებისათვის, სარწყავ მიწებზე მარცვლის უხვი მოსავლის მიღებისათვის. მათ შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს. გეგმით გათვალისწინებული 15 მილიონი ფუთის ნაცვლად, რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკვე მიჰყიდეს სახელმწიფოს 34 მილიონი ფუთი მარცვალი.

თქვენგან ყამირ მიწებზე გავემგზავრები. წელს კარგად იმუშავეს ყამირელებმა. ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მუშაკები აცხადებენ, რომ სამშობლოს სულ ცოტა მილიარდ ფუთ მარცვალს მისცემენ, აქედან ყამირის მხარე 740-775 მილიონ ფუთს იძლევა. მალე წამოვა ურალის, ციმბირის პური. ციმბირელები და ურალელებიც გვპირდებიან გაჯახორნ წელს ჩვენი ქვეყანა თავიანთი წარმატებებით. რა თქმა უნდა, ვრცელია ჩვენი ქვეყანა და ხელსაყრელ წლებშიც კი ზოგიერთ რაიონში შეიძლება მერყეობდეს მოსავლიანობა. მაგრამ თუ შეკავასებთ მდგომარეობას მთლიანად ჩვენს ქვეყანაში, შეიძლება ითქვას, რომ წელს მთლიანად დავაკმაყოფილებთ მოთხოვნილებას მარცვალზე საკუთარი წარმოებით და არსებითად შევავსებთ სახელმწიფო რეზერვებს.

ასე რომ, პურის საძებნელად როდი ვმოგზაურობ, არამედ იმისათვის, რომ მოვეთათბირო ხალხს, თუ როგორ განვახორციელოთ უფრო წარმატებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია. და აი მეც ვესაუბრები კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სპეციალისტებს, მაინტერესებს, როგორ ჯობს მეურნეობის აგება, რომ წლითიწლობით გავადიდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების, განსაკუთრებით მარცვლის, ხორცისა და რძის წარმოება.

როგორც იცით, მიმდინარე წლის ნოემბერში გაიმართება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მე დავალებული მაქვს მოხსენება გავაკეთო ამ პლენუმზე. როცა ვმოგზაურობ, ვხვდები სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავე ადამიანებს, მე მოხსენებისათვის ვემზადები. ამ დღეებში ბევრი ახალი, საინტერესო რამ ვნახე.

ვოლგისპირეთის რაიონებშიც, დონშიც, ყუბანშიც, ისევე როგორც სხვა რაიონებში, დიდი შესაძლებლობებია ახალი უხვმოსავლიანი ჯიშის ხორბლის დანერგვით, მინერალური სასუქების გამოყენებით, სარწყავი მიწების გაფართოებითა და სხვა ღონისძიებებით მარცვლის წარმოების გასაადიდებლად.

აქ არის ხელსაყრელი პირობები სპეციალიზებულ მეურნეობათა შესაქმნელად მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისათვის.

ვოლგოგრადისა და როსტოვის ოლქებში, კრასნოდარის მხარეში, თქვენს რესპუბლიკაში გავეცანი სარწყავ მიწებზე სიმინდის მოყვანის გამოცდილებას, ვესაუბრე ადამიანებს, რომლებსაც სიმინდის უხვი მოსავალი მოჰყავთ.

როსტოვის ოლქის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში მაჩვენეს სიმინდი, რომელიც სარწყავ მიწაზე მოიყვანა შესანიშნავმა მექანიზატორმა ბრედიხინმა. ეს მშვენიერი სიმინდი იყო. გუშინ ადიღეს ავტონომიური ოლქის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ვიყავი. ამ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობს ამხ. ბედანოკოვი — წარმოების ნიჭიერი ორგანიზატორი. იქ კიდევ უფრო უკეთესი სიმინდი ვნახე.

მაგრამ ის, რაც დღეს ვიხილე თქვენს შესანიშნავ თანამემამულესთან ამხ. ალბეგოვთან, პირდაპირ საოცრებაა. მან მითხრა, რომ თითოეულ ჰექტარზე 120 ცენტნერ მარცვალს მიიღებს. ხოლო თუ ამ სიმინდს სასილოსედ ავიღებთ, იგი, როგორც ჩანს, სულ ცოტა 1.000 ცენტნერ ტაროიან სილოსის მასას მოგვცემს. სარწყავ მიწაზე მოყვანილ მძლავრ ღეროებს უზარმაზარი ტაროები აქვს, ეს ნამდვილი სიმდიდრეა.

ნება მიბოძეთ ამ ტრიბუნიდან გულითადი მადლობა გადავუხადო ხარიტონ ანდრიას-ძე ალბეგოვს და ყველა მშრომელს, ვინც ასეთი შესანიშნავი სიმინდი მოიწია.

რას ნიშნავს ასეთი ძვირფასი კულტურის უხვი მოსავლის მოწევა? თუ ბაზტაროიან სიმინდს ავიღებთ, კარგ სილოსს დავამზადებთ. და პირუტყვის სუქებას მოვაწყობთ, შემდეგი რაოდენობით მივიღებთ ხორცს:

1.000 ცენტნერი მოსავლის დროს — 1.370 კილოგრამს

800 ცენტნერი მოსავლის დროს — 1.100 კილოგრამს

700 ცენტნერი მოსავლის დროს — 960 კილოგრამს

600 ცენტნერი მოსავლის დროს — 820 კილოგრამს.

აქ პირუტყვის ცოცხალ წონას როდი ვანგარიშობთ, არამედ დაკლულს, სახელდობრ ხორცს, ძროხის ხორცს. ამრიგად, სარწყავი სიმინდი ძროხის ხორცისა და რძის ნამდვილი ფაბრიკა შეიძლება გახდეს.

მე საფუძვლიანი საუბარი მქონდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებთან, კონსტრუქტორებთან სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, სპეციალიზებული წარმოების მართვის საკითხებზე.

ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის დროს სხვა აზრებიც დამებადა, რომელთა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ვილაპარაკებ.

ახლა ჩვენი პარტია მინერალური სასუქების წარმოების დიდ პროგრამას ახორციელებს, ვითარდება რწყვა, მაღლდება მექანიზაციის დონე. შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ სოფლის მეურნეობის მშრომელები უზრუნველყოფენ პროდუქციის წარმოების იმ დონეს, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამამ დასახა.

ეყრდნობიან რა ჩვენი ქვეყნის მზარდ ეკონომიურ ძლიერებას, პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ამას წინათ განახორციელეს მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ახალი ღონისძიებანი. ახლა ჩვენ გადავწყვიტეთ კოლმეურნე გლეხობის პენსიით უზრუნველყოფის ამოცანა. მნიშვნელოვანი ოდენობით უდიდდებათ ხელფასი მასწავლებლებს, ექიმებს და სახალხო მეურნეობის სხვა იმ დარგის მილიონობით მუშაკს, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოსახლეობას.

ჩვენ ყველა სიამაყით აღვნიშნავთ საბჭოთა ხალხის ამ შესანიშნავ წარმატებას.

ვეწევით რა დიად შემოქმედებითს შრომას კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ საერთაშორისო საქმეებს, იმას, რომ საჭიროა ბრძოლა მშვიდობის განმტკიცებისათვის, მსოფლიო თერმოატომური ომის თავიდან აცილებისათვის. და აქაც, ისე როგორც საქმიანობა სხვა დარგებში, ჩვენი პარტია მიჰყვება ვ. ი. ლენინის მიერ მითითებულ გზას.

„მთელი ჩვენი პოლიტიკა და პროპაგანდა, — წერდა ვლადიმერ ილიას-ძე, — მიმართულია სრულიადაც არა იქითკენ, რომ ხალხებს საომრად წავუსისიანოთ, არამედ იქითკენ, რომ ომს ბოლო მოვუღოთ“. (თხზ., ტ. 31, გვ. 576).

მალე დიდი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ ვ. ი. ლენინი სიამაყით აღნიშნავდა, რომ ბოლშევიკებმა ომის კლანჭებს გამოგლიჯეს პირველი ასეული მილიონი ადამიანი. ახლა უკვე მილიარდზე მეტმა ადამიანმა გაწყვიტა ურთიერთობა წყობილებასთან, რომელიც ომს წარმოშობს. ახლა მიმდინარეობს შეუპოვარი ბრძოლა იმისათვის, რომ მთელ კაცობრობას თავიდან ავაცილოთ მსოფლიო რაკეტულ-ატომური ომის საშინელებანი.

საბჭოთა კავშირი იცავს მშვიდობის საქმეს მთელ მსოფლიოში, განუხრელად ახორციელებს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპს. ჩვენი პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა საბჭოთა არმია თავის სიმაღლეზე იდგეს, რომ იგი იყოს შეიარაღებული უახლესი საბრძოლო ტექნიკით.

ამხანაგებო!

როგორც უკვე იუწყებოდა ჩვენი პრესა, 2-5 აგვისტოს აგრესიული მოქმედება განხორციელდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდები შეიჭრნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში, ამერიკის თვითმფრინავებმა დაარღვიეს საჰაერო სივრცე და დაბომბეს სანაპირო დასახლებული პუნქტები და ობიექტები.

თუმცა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს მას არ ჩაუდენია აგრესია, არამედ ამერიკის სამხედრო ხომალდები მხოლოდ თავს იცავდნენ, მაგრამ საღად მოაზროვნე ადამიანებისათვის ძნელი გასაგებია, როგორ შეიძლება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა იყოს აგრესორი. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ფლოტი ხომ არ შეჭრილა შეერთებული შტატების ტერიტორიულ წყლებში, არამედ პირიქით, ამერიკის შეერთებული შტატების ხომალდები თავისი ქვეყნიდან ათასობით კილომეტრზე დაშორებით შეიჭრნენ ვიეტნამის ფარგლებში და სცადეს საომარი მოქმედების პროვოცირება.

საბჭოთა კავშირი გადაჭრით გმობს ამერიკის შეერთებული შტატების ამ აგრესიულ მოქმედებას, რომელიც იმის ცდაა, რომ კვლავ შემოიღონ სახელმწიფოთა ურთიერთობაში თვითნებობა და მეკობრული მეთოდები, რომლებიც ხალხებმა დაგმეს.

ჩვენ გვინდა გავაფრთხილოთ ყველა „ცოფიანი“ და „ნახევრად-ცოფიანი“, ნორმალური და არანორმალური, ვისაც არ სურს მშვიდობიანად იცხოვროს და პატივი სცეს ხალხთა დამოუკიდებლობას, თავი დაანებონ სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევას. შეიგნონ, ბოლოს და ბოლოს, რომ ჩვენს დროში აღარ შეიძლება მეკობრულად მოქმედება. ხალხებს აღარ სურთ ძველებურად ცხოვრება. აღარ სურთ კაპიტალიზმის მონებად, კოლონიალიზმის მონებად ყოფნა. ისინი იბრძვიან და იბრძოლებენ თავიანთი დამოუკიდებლობისათვის და ვერავითარი აგრესიული ძალები, ამერიკის შეერთებული შტატებისა ან სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების ვერავითარი ჟანდარმული მოქმედება ვერ შეაჩერებს მათ. ჩვენ გვსურს გავაფრთხილოთ ისინი, ვისაც ეს ეხება, რომ მათ ბოლოდ და კარგად აითვისონ ეს ჭეშმარიტება. მაგრამ, თუ იმპერიალისტები გაბედავენ თავს მოგვახვევონ ომი, ეს ომი, თუმცა ბევრ მსხვერპლსა და უბედურებას მოუტანს მსოფლიოს ხალხებს, კაპიტალიზმის სრული განადგურებით დამთავრდება.

საბჭოთა კავშირს არ სურს ომი და ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ იგი არ მოხდეს. მაგრამ თუ იმპერიალისტები თავს მოახვევენ ომს სოციალისტურ ქვეყნებს, საბჭოთა კავშირის ხალხები შეასრულებენ თავიანთ წმიდათა წმიდა მოვალეობას, ისინი შეძლებენ თავიანთი სამშობლოს, სხვა სოციალისტური ქვეყნების დაცვას.

საბჭოთა სახელმწიფოს ახლა აქვს უდიდესი საბრძოლო ძალა, რომელზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია მშვიდად ვიშრომოთ და ვაშენოთ.

ახმარს რა მთელ თავის ძალებს კომუნიზმის მშენებლობას, საბჭოთა კავშირი იცავს დიდი ლენინის ანდერძს, მიდის ერთადერთი სწორი გზით.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, რომლებიც ხელმძღვანელობენ იდეურ და პოლიტიკურ ბრძოლას იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, დაუცხრომლად ახორციელებენ მთელი იმ ძალების შეკავშირების ღონისძიებას, რომლებიც მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოზიციებზე დგანან. ჩვენ გვწამს, რომ აუცილებლად გაიმარჯვებს მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა.

ჩვენი პარტია, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების ერთგულია, ყოველ ღონეს ხმარობს და კვლავაც ძალღონეს არ დაიშურებს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცებისათვის, მთელი ძალების შეკავშირებისათვის, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის.

სხვა მოძმე პარტიებთან ერთად ჩვენ გადაჭრით და ბეჯითად ვიბრძოლებთ მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის, ჩვენი საერთო რევოლუციური საქმის გამარჯვებისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენს წინაშე დასახულია კომუნიზმის გამარჯვების ფართო გზა. იმისათვის, რომ რაც შეიძლება უფრო სწრაფად მივაღწიოთ ამ სანუკვარ მიზანს, საჭიროა მხოლოდ ერთი: კარგად ვიშრომოთ, გონიერულად გამოვიყენოთ მძლავრი საწარმოო ძალები, რომლებიც შექმნილია და წარმატებით ვითარდება საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომით.

ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის თითოეული ხალხი — მრავალრიცხოვანი თუ მცირერიცხოვანი — მოწოდებულია თავისი ღირსეული წვლილი შეიტანოს ამ დიად საქმეში. ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ ჩრდილოეთ ოსეთის მშრომელები თავიანთ ძალას, ენერგიას არ დაიშურებენ და კვლავაც კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში იქნებიან.

გისურვებთ ახალ, კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, მშრომელთა კეთილმოწყობილებისა და სოციალიზმისათვის!

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს. არაერთხელ გაისმა მქუხარე ტაში. სიტყვის დამთავრების შემდეგ დარბაზში მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია გაიმართა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მისალმება გაუგზავნეს დონეცკის ოლქის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ყველა მშრომელს სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის წლიური გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით.

დონეცკის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სახელმწიფოს ბელლებში შეინახეს 40 მილიონი ფუთი პური, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 32 მილიონი ფუთისა. და გადაწყვიტეს პურის მიყიდვა 45 მილიონ ფუთამდე გაზარდონ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ლუგანსკის ოლქის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობის მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ყველა მშრომელს მისალმება გაუგზავნეს დიდ შრომითს გამარჯვებასთან დაკავშირებით — სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის წლიური გეგმის წარმატებით შესრულების გამო.

ლუგანსკის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სახელმწიფოს ბელლებში შეინახეს 28 მილიონი ფუთი პური, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 მილიონი ფუთისა, და გადაწყვიტეს გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფოს მიჰყიდონ სულ ცოტა 17 მილიონი ფუთი პური.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულითადად მიულოცეს ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებს და გამოთქვეს რწმენა, რომ ისინი შეასრულებენ სახელმწიფოსათვის გეგმის გადაჭარბ

საერთაშორისო თათბირი კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების გზაა

(დასასრული)

კომპარტიის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ თანამედროვე პირობებში არავის არა აქვს უფლება მოიწვიოს საერთაშორისო თათბირი, რომ, თითქოს, „შეუწყნარებელია, რომ რომელიმე ერთმა პარტიამ ან პარტიათა „ჯგუფმა“ მოიწვიოს ასეთი თათბირი. ხოლო, როცა მათ გააბსენეს, რომ 1957 წლის თათბირმა საბჭოთა კავშირის კომპარტიას დაავალა „იკისროს კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირების მოწვევის უნენაცვლა მოძმე პარტიებთან კონსულტაციით“, მათ დიუწეს მტკიცება, თითქოს სიტყვები „მოძმე პარტიებთან კონსულტაციით“ ნიშნავს, რომ „თათბირის მოსაწვევად აუცილებელია მოძმე პარტიათა ერთსულოვანი თანხმობა“.

ასეთი თვალსაზრისი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ერთ პარტიას მიანიჭო საერთაშორისო ფორუმის მოწვევის თავისი შეხედულებისამებრ ბლოკირების უფლება, თუნდაც სხვა პარტიები მისი მოწყობის მომხრენი იყვნენ, ეს ნიშნავს აღიარო ერთი პარტიის უფლება წინააღუდგეს ყოველგვარი საკითხის კოლექტიურ განხილვას, ჩაფუშოს თვითნებურად საერთაშორისო შეხვედრა პარტიათა აბსოლუტური უმრავლესობის ნება-სურვილის წინააღმდეგ. განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთი პარტია ცდილობს თავისი ნება მოახვიოს თავს მთელ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას, დიქტატი დაამყაროს ამ მოძრაობაში? ვერც ერთი მარქსისტ-ლენინელი ვერ დაეთანხმება ასეთ პრეტენზიებს.

კომპარტიათა საერთაშორისო თათბირის მოწვევის სხვა საწინააღმდეგო „საბუთია“ იმის დამოწმება, რომ „ჩინეთის კომპარტია და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დღემდე ვერ შეთანხმდნენ კონსულტაციების საშუალებით“. ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელები ყოველთვის ცდილობენ თავიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან კონსულტაციები, განუწყვეტლივ განაგრძობენ ცილისწამებას მის წინააღმდეგ და ამავე დროს კომუნისტურ მოძრაობაში მერყეულ ადამიანებს, რომელთა თანაგრძნობის იმედი აქვთ, აგრძნობინებენ, რომ საერთაშორისო თათბირი მხოლოდ მაშინ მიიღწევს წარმატებას, თუ ყველა საკითხს, რომლებიც კოლექტიურად უნდა შეისწავლონ, განიხილონ და გადაწყვიტონ, წინასწარ განიხილავს და გადაწყვეტს ორი პარტია — საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიები.

უდავოა, ურთიერთგაგების მიღწევა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ჩინეთის კომპარტიას შორის მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საერთაშორისო თათბირის წარმატებით დამთავრებას. ჩვენი პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ორმხრივ კონსულტაციებს ჩინეთის კომპარტიასთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით გასული წლის ზაფხულში გაიმართა ორივე პარტიის დელეგაციათა შეხვედრა. მაგრამ ეს შეხვედრა ჩინეთის მხრიგ შეწყვიტა. მან შემდეგ გასული პერიოდის განმავლობაში ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელებს არავითარი ინტერესი არ გამოუჩენია საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან კონსულტაციებისადმი, პირიქით, გაძალიერეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაზე და სხვა მარქსისტულ-ლენინურ პარტიებზე თავდასხმები და ცილისწამება.

გასული წლის განმავლობაში სკკპ ცენტრალური კომიტეტს არაერთხელ გამოუთქვამს აზრი, რომ თანახმაა ახალ შეხვედრაზე, ცალმხრივი წესით დიდი ხნით წყვეტდა საჯარო პოლემიკას, შეჰკონდა მთელი რიგი კონსულტაციული ნაკლებდებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის კომპარტიის, მსოფლიოს ყველა კომპარტიის ერთობისა და შეკავშირების ინტერესებისათვის. ყველა ეს წინადადება უარყვეს ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელებმა.

მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას არასოდეს არ მიიჩნევდა, თითქოს ერთ ან ორ პარტიას ცალკე — თუნდაც ისეთ დიდ პარტიებს, როგორიცაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და ჩინეთის კომპარტია, — შეუძლია იკისროს იმ პრობლემების გადაწყვეტა, რომლებიც უშუალოდ ეხება მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ინტერესებსა და ბედს. ასეთ თვალსაზრისზე დადგომა, ჩვენი პარტიის ღრმა რწმენით, ამის ნიშანი იქნებოდა, რომ დავბრუნებოდით პიროვნების კულტის ხანას, დაგვეყო პარტიები „ზემდგომ“ და „ქვემდგომ“ პარტიებად. ჩვენი პარტია არასოდეს არ დადგება ასეთ ანტილენინურ პოზიციებზე, შეურიგებლად იბრძოლებს ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ, რომ კომუნისტურ მოძრაობას თავს მოახვიონ ერთი პარტიის დიქტატი.

აქტუალური პრობლემები, რომლებიც ახლა წამოიჭრა კომუნისტურ მოძრაობაში, ისევე როგორც კომუნისტთა შორის არსებული უთანხმოებანი, შეუძლია და კიდეც უნდა შეისწავლოს და გადაწყვიტოს ყველა მარქსისტულ-ლენინურმა პარტიამ კოლექტიური მეცადინეობით. თვითეული კომუნისტური პარტია პასუხს აგებს თავისი ქვეყნის მუშათა კლასისა და მშრომელების წინაშე, ასევე საერთაშორისო მუშათა კლასის წინაშე მთლიანად კომუნისტურ მოძრაობაში მდგომარეობისათვის, მისი ერთობისა და შეკავშირების დაცვისა და განმტკიცებისათვის.

ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელები, როცა წინადადებას იძლევიან წინასწარ გადაწყვეტოთ ყველა პრობლემა ორი პარტიის შეთანხმების გზით, საერთაშორისო თათბირის აშკარად ფორმალურ, პარადულ შეხვედრად აქცევენ სხვა პარტიების წარმომადგენლებთან, რომლებსაც ისღა დარჩენიათ, რომ ხელი მოაწერონ მათთვის გამზადებულ გადაწყვეტილებებს. სჯირო არ არის იმის მტკიცება, რომ ასეთი მიდგომა თათბირისადმი, მისი მუშაობის ხასიათისადმი ძირეულად ეწინააღმდეგება პარტიათა ურთიერთობის ლენინურ პრინციპებს.

თათბირის მოწინააღმდეგეთა კიდევ ერთი „საბუთია“ ის, რომ თათბირი „საჯარისად არ არის მომზადებული“ და, თითქოს, არ გამართულა კონსულტაციები მოძმე პარტიებთან, რასაც 1957 წლის თათბირის დადგენილება ითვალისწინებს. რაც შეეხება კონსულტაციებს, ისინი რა წელზე მეტ ხანს იმართებოდა — 1962 წლიდან. ამ დროის მანძილზე პარტიათა ნამდვილი რეფერენდუმი მოეწყო და დღეისათვის ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის პოზიცია თათბირის მოწვევის მიმართ სავსებით გამოვლინდა. ეს პოზიციები ჩამოყალიბებულია ცენტრალური ორგანოების გადაწყვეტილებებში, მათ მიმოწერაში, მოძმე პარტიათა ხელმძღვანელების განცხადებებში, ორმხრივი და მრავალმხრივი მოლაპარაკების შესახებ ერთობლივ განცხადებებში და სხვა ფორმით. კომპარტიათა აბსოლუტური უმრავლესობა მტკიცედ მოითხოვს, ერთ თათბირის მოწვევა დიდი ხნით არ გადაიდოს, არის წინადადებანი, რომ ამავალი საერთაშორისო შეხვედრა მოეწყოს დაახლოებით მომავალი წლის შუა თვეებში. ამრიგად, პირობა კონსულტაციების მოწყობის შესახებ, რასაც 1957 წლის თათბირის გადაწყვეტილება ითვალისწინებს, სავსებით შესრულდა.

როგორ არის „დიდი მოსამზადებელი მუშაობის“ საქმე, რისთვისაც სიტყვით ესოდენ დიდ მზრუნველობას იჩენენ პეკინში? თუ მივიჩნევთ, რომ თათბირისათვის მოსამზადებელი მუშაობა არის მუშაობა უთანხმოებათა დასაძლევად და კომუნისტურ მოძრაობაში ერთობის განსამტკიცებლად, მაშინ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიები დაუცხრომლად ეწევიან ამ მუშაობას უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში. სამწუხაროდ, ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელები დაუინებით არიდებენ თავს ამ მუშაობაში მონაწილეობას, გადაკრით ამბობენ უარს შეწყდეს საჯარო პოლემიკა, შეწყვიტონ თავიანთი ძირგამმთხრელი მუშაობა მოძმე პარტიებში. ამას წინათ მათ ცინიკურად განაცხადეს საქვეყნოდ, რომ „ცდლვაც ამაზე ეზამენ, თანაც უფრო მეტად და უკეთ“. როგორც ჩანს სწორედ ასეთი „მოსამზადებელი მუშაობისათვის“ სჭირდებათ მათ რაღაც უნდა დაუჭდეთ მოიგონ დრო, შეინარჩუნონ მოქმედების თავისუფლება, ამ მიზნით კი ისინი წინადადებას იძლევიან 4-5 წლით ან უფრო მეტი ხნით გადაიდოს თათბირის მოწვევა. სწორედ ასე შეაფასეს მარქსისტულ-ლენინურმა პარტიებმა ის, რომ ჩინეთის ხელმძღვანელები უახლოეს ხანს საერთაშორისო თათბირის მოწვევის წინააღმდეგი არიან.

საერთაშორისო თათბირის მოწვევასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მსვლელობაში კომპარტიებმა განიხილეს კოლექტიური წინასწარი მუშაობის საკითხი. მათ მიზანშეწონილად ცნეს, 1960 წლის თათბირის მომზადების მაგალითისამებრ შექმნან საერთაშორისო კომისია, რომელიც ახალი თათბირის ძირითადი მეთვალთვალეობის პროექტებს, აგრეთვე მეთვალთვალეობის პროექტებს, ანგარიშებს ამზადებს ამ საკითხებზე, რომელიც თათბირის მოწყობასთან არის დაკავშირებული. ამასთან, ჯერ კიდევ აზრთა წინასწარი გაზიარების მსვლელობაში გამოვლინდა, რომ, თუ სარდაკეთო კომისიის წინაადმდეგი პრინციპულად არავინ იყო, კომისიის შემადგენლობის საკითხი შეიძლებოდა ახალი დიდი დაბრკოლება გამხდარიყო თათბირის მოწვევის გზაზე. ეს ხელსაყრელი იქნებოდა მხოლოდ იმითვის, ვისაც განზრახული აქვს თავი აარიდოს კომუნისტთა საერთაშორისო შეხვედრას, სცადოს რაიმე ხერხით ჩაფუშოს იგი. ბევრი მოძმე პარტიის აზრით, არის ძალიან მარტივი გამოსავალი: უნდა ვისაუბოთ 1960 წლის თათბირის გამოცდილებით და მოვიწვიოთ საერთაშორისო კომისია, რომლის შემადგენლობაში იქნებიან იმავე 26 კომპარტიის წარმომადგენლები, რომლებმაც 1960 წლის ოქტომბერ-ნოემბერში წარმატებით შეასრულეს დაკისრებული ამოცანა.

კოლეგიური საერთაშორისო კომისიის დახმარებით 1960 წლის თათბირის მოწვევის გამოცდილება ფრიად შედეგიანი იყო და კარგ მაგალითად გამოგვადგება. სარედაქციო კომისიაში შედიოდნენ რეკომენდაციური მოძძაობის ძირითადი რაიონების კომუნისტურ პარტიათა წარმომადგენლები: სოციალისტური ქვეყნების, განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების, ახალი განვითარებადი სახელმწიფოების, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქვეყნების, სახელდობრ — ავსტრალიის, ალბანეთის, არგენტინის, ბულგარეთის, ბრაზილიის, დიდი ბრიტანეთის, უნგრეთის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, დასავლეთ გერმანიის, ინდოეთის, ინდონეზიის, იტალიის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კუბის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, სირიის, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, უინეთის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იაპონიის კომპარტიების წარმომადგენლები. კომისიის ასეთი შემადგენლობა საკმაოდ წარმომადგენლობითია და წარმატებით გაართმევდა თავს ახალი თათბირის მომზადებას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ამ დღეებში წამოაყენა წინადადება, რომ ზემოთ ჩამოთვლილმა კომპარტიებმა გამოპყონ თავიანთი წარმომადგენლები სარედაქციო კომისიაში და იგი შეუდგეს მუშაობას 15 დეკემბერს მოსკოვში, თუ მოძმე პარტიები მისაღებად მიიჩნევენ ამას, ამრიგად, სარედაქციო კომისიის მუშაობის დაწყების მოსამზადებლად საკმაოდ დიდი ვადაა. ამ დროის განმავლობაში იმ მოძმე პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კომისიის მუშაობაში, კიდევ ერთხელ შეისწავლიან მასალებს დისკუსიებისა, რომლებიც საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში გაიშალა, ერთმანეთს დაუპირისპირებენ სხვადასხვა თვალსაზრისს, მოამზადებენ თავიანთ წინადადებებს კომისიის სხვა მონაწილეებთან აზრთა გაზიარებისათვის.

ცნობილია, რომ 1960 წელს სარედაქციო კომისია საკმაოდ დაძაბულად მუშაობდა მთელი თვის განმავლობაში, როცა ჩინეთისა და ალბანეთის წარმომადგენელთა „განსაკუთრებულ“ პოზიციებს წააწყდა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამჯერად კომისიას არათუ ნაკლები, შესაძლოა მეტი დროც დასჭირდეს. და სწორედ ამიტომ მოძმე პარტიები წინადადებას იძლევიან დაახლოებით მომავალი წლის შუა თვეებში მოვიწვიოთ საერთაშორისო თათბირი.

რა თქმა უნდა, არ უნდა გამოვრიცხოთ იმის შესაძლებლობა, რომ რომელიმე კომპარტია აღნიშნული ვადისათვის არ გამოგზავნის თავის წარმომადგენელს. მაგრამ განა ამან ხელი უნდა შეუშალოს კომისიის მუშაობას? ცხადია, არა, თვითეულ პარტიას უფლება აქვს თვითონ გადაწყვიტოს მიიღებს თუ არა მონაწილეობას კომისიისა და თათბირის მუშაობაში. მაგრამ ნაკლებად უდავო როდია ყველა დანარჩენი კომპარტიის უფლებაც ყველაფერი იღონონ თათბირის წარმატებით მომზადებისა და დამთავრებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მხარს უჭერს იმას, რომ მოწვეულ იქნეს თათბირი, რათა აღმოიფხვრას არსებული სიძნელეები და თავიდან იქნეს აცილებული გათიშვა. ჩინეთის წინადადებებში განსაკუთრებით ხაზს უსვამენ, თითქოს ახლანდელ პირობებში თათბირი შეიძლება მხოლოდ ერთი რამით — კომუნისტური მოძრაობის გათიშვით დამთავრდეს, თითქოს ეს თათბირი აუცილებლად „გამოიწვევს იმას, რომ ჩხუბი ატყდება და ყველა დაიშლება ისე, რომ ვერ მიაღწევენ რაიმე შედეგს“, ცხადია, რომ სწორედ ისინი, ვინც აქტიურად ქმნის გათიშვის ვითარებას კომუნისტურ მოძრაობაში, უგულებელყოფს და ცინიკურად დასცინის მოძმე პარტიათა მოწოდებებს, რომ შეუწყვეს ძირგამმთხრელი მუშაობა კომუნისტურ მოძრაობაში, ახლა შეკავშირების მფარველად მოაქს თავი. ისინი „მოძმე პარტიათა ერთსულოვანი თანხმობის“ მიღწევის საბაბით წინასწარ აცხადებენ საერთაშორისო თათბირს „უკანონოდ“, თუ ამ თათბირში მონაწილეობას არ მიიღებენ ჩინეთის კომპარტიის წარმომადგენლები. სინამდვილეში კი ეს განცხადებანი მხოლოდ ერთს მოწმებენ: იმას, რომ მათი ავტორები ცდილობენ რადაც უნდა დაუჭდეთ, შანტაჟისა და გათიშვის მუქარის გზით, ჩაფუშონ მომავალი თათბირი. მაგრამ სწორედ უარი მონაწილეობა მიიღონ თათბირში ნიშნავს მისწრაფებას „გაფორმონ“ გათიშვა.

მართალია, თუ თათბირის მიზანს მხოლოდ იმაში ხედავ, რომ ვიღაც დაგმო, მიაწებო შეურაცხმყოფელი იარლიყები, უკასუხისმგებლოდ ბრალი დასდო, შეიძლება მიაღწიო არა ერთობის განმტკიცებას, არამედ კომუნისტური მოძრაობის რიგების შემდგომ გათიშვას. მაგრამ ჩვენი პარტიისათვის, ისევე როგორც სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიების აბსოლუტური უმრავლესობისათვის, ახალი საერთაშორისო თათბირის მოწყობის საკითხი განუყოფლად არის დაკავშირებული მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პრობლემასთან. ჩვენი პარტია მტკიცედ და განუხრელად უჭერს მხარს და ყოველ ღონეს იხმარს, რათა დაიცვას თავისი არაერთგზის ჩამოყალიბებული პოზიცია: კომპარტიების თათბირი ირიბება არა იმისათვის, რომ კომუნისტურ მოძრაობას „ჩამოაშოროს“ ესა თუ ის პარტია, მსოფლიო სოციალისტური სისტემიდან თვითნებურად გააგდოს ესა თუ ის ქვეყანა, არა ერთმანეთის ლანძღვისა და ერთმანეთისადმი ბრალდებების წაყენებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ უთანხმოების პირობები, რასაც წააწყდა კომუნისტური მოძრაობა, საჭიროა უწინარეს ყოვლისა შევიმუშაოთ საერთო პოზიციები, გამოვავლინოთ ის საერთო რაც აერთიანებს მარქსისტულ-ლენინურ პარტიებს, ვეძიოთ მათ წინაშე წარმომდგარი სიძნელეების აღმოფხვრის გზები.

თვითეულ მარქსისტულ-ლენინურ პარტიას, რომელიც მონაწილეობს თათბირში, შეუძლია გულახდილად და საქმიანად გააშუქოს თავისი თვალსაზრისი ყველა აქტუალურ პრობლემაზე, რათა მისი თვალსაზრისი მხედველობაში იქნეს მიღებული ერთობლივი ხაზისა და საერთო გადაწყვეტილებათა შემუშავების დროს. ამავე დროს საერთაშორისო თათბირი ყველაზე შესაფერისი ადგილია, სადაც კომუნისტურ პარტიათა პასუხისმგებელ წარმომადგენლებს შეუძლიათ მოისმინონ სხვა პარტიათა აზრი, დაუპირისპირონ იგი საკუთარ აზრებს, მოაწყონ კოლექტიური შემოქმედებითი დისკუსია და მიაღწიონ ურთიერთგაგებასა და შეკავშირებას მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე.

საერთაშორისო თათბირს ვიწვევთ იმისათვის, რომ კოლექტიურად განვიხილოთ კომუნისტური მოძრაობის აქტუალური პრობლემები, მოვნახოთ ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი, განვსაზღვროთ საერთო ამოცანები. იმის მოთხოვნა, რომ მიღწეულ იქნეს „ერთსულოვნება“, „ერთსულოვანი აზრი“ თათბირის მოწვევამდე როგორც აუცილებელი პირობა თათბირის მოწვევისა, ნიშნავს წაართვა მთავარ თათბირს მისი შემოქმედებითი კონსტრუქციული როლი, ამით კი არსებითად უგულებელყო კომუნისტური მოძრაობის საქმიანობის ეს ნაცადი კოლექტიური ფორმა.

ოთხ წელზე მეტია ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელები მომამზადებლად ამტკიცებენ, რომ სწორედ ისინი გახლავიერებენ „ეშმარიტებას“, რომ სიმართლე მათ მხარეზეა, ხოლო ყველას, ვინც მათ არ ეთანხმება, ცილისმწამებლურად უწოდებენ „თანამედროვე რევიზიონისტებს“, „იმპერიალისტთა თანამზრახველებს“. იმადება კანონიერი კითხვა: თუ სიმართლე მათ მხარეზეა, რაკომ ეშინიათ საერთაშორისო თათბირისა? რატომ არის, რომ არა თუ ხელს არ უწყობენ კომუნისტთა საერთაშორისო თათბირის სარეზონად მოწვევას, რათა ჩამოაყალიბონ თავიანთი „ეშმარიტებანი“ და საჯაროდ დაიცვან იგი მსოფლიოს ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის პასუხისმგებელ წარმომადგენელთა წინაშე, არამედ, პირიქით, ყოველნაირად ცდილობენ შეაფერხონ იგი?! ხომ არ არის ეს, სინამდვილეში, საკუთარ „ეშმარიტებათა“ სისუსტისა და მანკიერების, საკუთარი არგუმენტების მერყეობის აღიარება? როგორც ჩანს, სწორედ ეს იწვევს შიშს შეხვდნენ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის მებრძოლ, კლასობრივი ბრძოლების ცეცხლში ნაცად ხელმძღვანელებს, რომლებსაც ისინი ასე გულმოდგინედ ასხამენ ლაფს.

კონსულტაციების მსვლელობაში მოძმე პარტიებმა განაცხადეს, რომ, მათი აზრით, ახალი თათბირის მოწამობის მთავარი პუნქტი უნდა იყოს წინა თათბირების გადაწყვეტილებანი — დეკლარაცია და განცხადება — რომლებშიც ჩამოყალიბებულია მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გენერალური ხაზი. რა თქმა უნდა, მარტო ამ ორი დოკუმენტის ცოველმყოფელობისა და ეფექტიანობის განმტკიცება არ ამოსწურავს ახალი თათბირის ამოცანებს. როგორც ჩანს, თათბირის უმნიშვნელოვანესი, ყველაზე მთავარი ამოცანა იქნება — შემოქმედებითად გადასინჯოს და განიხილოს ახალი პრობლემები, გააანალიზოს ახალი ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები და პროცესები, შეათანხმოს შეფასებანი და პოზიციები, მათ შესაბამისად გაამდიდროს და დააკონკრეტოს კომუნისტური მოძრაობის გენერალური ხაზი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 15 ივნისის წერილში (გამოქვეყნებულია № 10 ჟურნალ „კომუნისტში“ და გაზეთ „პრავდაში“ მომდინარე წლის 17 ივლისს) ნათქვამია, რომ თუ კომუნისტთა საერთაშორისო თათბირი მთლიანად ვერ გადაწყვეტს ამ მთავარ ამოცანას ერთბაშად, ესეც არ ნიშნავს წარუმატებლობას, ჩაფუშვას, კომუნისტური მოძრაობის გათიშვის „გაფორმებას“. კითხვაზე, რომელიც ახლა ბევრს მეტად აღელვებს, ჩვენი პარტია უპასუხებს, რომ, მისი მტკიცე რწმენით, ამ შემთხვევაშიც კი ახალი თათბირი დიდ სარგებლობას მოიტანს, თუ მისი მონაწილეები მიზნად არ დაიხავენ მარტოოდენ უთანხმოების გაღრმავებას, იმას, რომ რადაც უნდა დაუჭდეთ თავს მოახვიონ მას ერთი პარტიის ნება. ამრიგად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თათბირი ვერ მიაღწევს „ერთსულოვან აზრს“, რაზეც ასე ეუბნან სტალინი ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელები, მაინც სასარგებლო იქნება, თუ მსოფლიოს კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელები, რომლებიც ერთად შეიკრიბებიან, გამოთქვამენ თავიანთ აზრს, მოისმენენ სხვათა აზრებს, კოლექტიურად განიხილავენ კომუნისტური მოძრაობის საერთო პრობლემებს.

როგორც ცნობილია, 1960 წლის თათბირის მოწვევის სტადიული, უწინარეს ყოვლისა გახდა კომპარტიათა მხარეებზე გარკვეულიყვნენ უთანხმოებაში, რომელიც მაშინ თანამედროვეობის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელთა განსაკუთრებული პოზიციის გამო გამოვლინდა. მაგრამ თათბირის მსვლელობაში შესაძლებელი აღმოჩნდა, ჩინეთის წარმომადგენლთა და მათ მომხრე ალბანეთის წარმომადგენელთა მცდარი შეხედულებების პრინციპიულ კრიტიკასთან ერთად შეგვეშუშავებინა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მოქმედების დიდი დადებითი პროგრამა, რომელიც განცხადებაში ასახა. მაშინ 81 კომუნისტური და მუშათა პარტიამ გამოიჩინა გაბედულება — შეიკრიბა და გულახდილად, ამხანაგურად, ამასთანავე პრინციპიულად განიხილა რთული საკითხები. როგორც შემდეგ უკლებლივ ყველა კომპარტიამ აღიარა, 1960 წლის თათბირი მეტად სასარგებლო და ნაყოფიერი აღმოჩნდა.

მართალია, გვეფდა არ უნდა ავუაროთ იმ ფაქტს, რომ კომპარტიების ახალი საერთაშორისო თათბირი გაიმართება გაცილებით უფრო რთულ პირობებში, ვიდრე 1960 წლის თათბირი. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთბაშად ვერ გამოვნახავთ საერთო ენას და ვერ შევიმუშავებთ საერთო აზრს ყველა საკითხზე, ყოველგვარი საფუძველი გვაქვს თათბირზე მივაღწიოთ შეთანხმებას იმის შესახებ, რომ კომუნისტურმა პარტიებმა ვალდებულება იკისრონ გაითვალისწინონ ერთმანეთის აზრი, კეთილსინდისიერად თანამშრომლონ იმ დარგებში, სადაც გამოვლინდება პოზიციებისა და ინტერესების ერთობა, თავი შეიკავონ შემდგომში ყოველგვარი მოქმედებისაგან, რომლებიც ზიანს აყენებს კომპარტიებს, ზრდის მათ სიძნელეებს და სიხარულს მკვრის მხოლოდ ჩვენს კლასობრივ მტრებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ეგებება ახალ საერთაშორისო თათბირს მტკიცე რწმენით, რომ არ არის და არც შეიძლება იყოს არავითარი გადაულახავი ობიექტური ბარიერი ამისთვის, რათა თათბირმა ხელი შეუწყოს არა უთანხმოებათა გაღრმავებას, არამედ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცებას მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე ჩვენი პარტია, იცავს რა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს, განუყრელად უკავშირებს თათბირის მიზნებსა და პერსპექტივებს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ერთობისა და შეკავშირების განმტკიცების, მსოფლიო მასშტაბის პროლეტარიატის გამარჯვების მოახლოების ამოცანას. თათბირის ამოცანებისადმი სწორედ ასეთი მიდგომა შეესაბამება, ჩვენი პარტიის ღრმა რწმენით, მსოფლიო კომუნიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მაღალ ინტერესებს, თანამედროვეობის მთელი პროგრესული, რევოლუციური ძალების შეკავშირების განმტკიცების ინტერესებს.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

• აბვისტოს საბჭოთა მთავრობის დავალებით საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაუგზავნა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოთა მთავრობის განცხადება და სთხოვა გაავცელოს იგი, როგორც უშიშროების საბჭოს ოფიციალური დოკუმენტი. ამ თხოვნის შესაბამისად განცხადება გავრცელებულია როგორც უშიშროების საბჭოს ოფიციალური დოკუმენტი.

საბჭოთა მთავრობის განცხადება გადაეცა აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

ქვემოდ ვაქვეყნებთ ამ განცხადების ტექსტს.

იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა IX საკონსულტაციო თათბირის ბოლოს „ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ტექსტი გადასცა უშიშროების საბჭოს, საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია უშიშროების საბჭოს განუცხადოს შემდეგი.

აღნიშნული თათბირის გადაწყვეტილებებში, როძლებიც შეერთებულმა ტატებმა რეკომენდაციული უმოავლეობის დახმარებით თავს მოახვიეს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას ვენესუელის „საჩივრის“ გამო, კუბის რეკომენდაცია თვითნებურად და უსაფუძვლოდ დაგმობილია „აგრესიისა“ და სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში „ჩარევისათვის“, აგრეთვე გათვალისწინებულია ახალ მტრულ ღონისძიებათა განხორციელება კუბის წინააღმდეგ. თათბირის დოკუმენტებში აისახა შეერთებული შტატების მისწრაფება გამოიყენოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოები ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის მექანიზმი საკუთარი ინტერესებისათვის, რათა გაიტიროს აგრესიული პოლიტიკა დამოუკიდებელი კუბის სახელმწიფოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრის მიმართ. ამაოთან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იმათ ვინც მათი მომხრეა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში, სულაც არ ანერებს ის გარემოება, რომ ბოლოდანი კუბის წინააღმდეგ ეწინააღმდეგება ხათელ და მთელი მსოფლიოსათვის ცნობილ ფაქტებს.

ყოველი დღე იძლევა ახალ დამამტკიცებელ საბუთებს, თუ კიდევ საჭიროა საეჭვი საბუთები, რომ კუბა არავითარ საფრთხეს არ უქმნის დასავლეთის ნახევარსფეროს, კუბა არ არის აგრესორი, იგი აძარცვის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეების აგრესიის მსხვერპლია.

კუბის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როცა კუბელმა ხალხმა საკუთარ ხელში აიღო თავისი ქვეყნის ბედი, შეერთებული შტატები ახორციელებენ მტრულ მოქმედებასა და პროვოკაციებს კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ, უხეშად ერევიან მის საშინაო საქმეებში. შეერთებულმა შტატებმა მოაწყვეს კუბის ულმობელი ეკონომიური ბლოკადა, მოამზადეს და აღჭურვეს კუბელ კონტრრევოლუციონერთა რაზმები, რომლებიც ავადმყოფურად თავს დაესხნენ კუბას 1961 წლის აპრილში. ამერიკის შეერთებული შტატები კუბის ტერიტორიაზე გზავნიან დივერსანტთა ბანდებს, იარაღს, საბრძოლო მასალასა და საომარ აღჭურვილობას ძირგამმთხრელი საქმიანობისათვის. კუბის მთავრობის ოფიციალური განცხადებების შესაბამისად 1962 წლის ოქტომბრიდან დღემდე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განახორციელეს დაახლოებით 2 ათასი პროვოკაციული მოქმედება კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რაც გამოიხატა იმით, რომ ამერიკის გუანტანამოს ბაზიდან სროლა აუტეხეს კუბის საგუშაგოებს, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო თვითმფრინავებმა დაარღვიეს კუბის საჰაერო სივრცე, ამერიკის შეერთებული შტატები ხელს უწყობდნენ მეკობრული თავდასხმებს ზღვიდან და ჰაერიდან ამ ქვეყნის სამრეწველო ობიექტებზე, ნავსადგურებსა და დასახლებულ პუნქტებზე.

ცნობილია, რომ გეატემალის, ნიკარაგუას და ლათინური ამერიკის ზოგიერთი სხვა ქვეყნის მთავრობები უშუალოდ მონაწილეობენ კუბის წინააღმდეგ პროვოკაციების მოწყობაში. ამ ქვეყნების ტერიტორიებზე განლაგებულია სამხედრო ბაზები და სასწავლო ბანაკები, სადაც ამზადებენ კუბის კონტრრევოლუციონერი ხანძარსაფლეთქვნელა ბანდებს. ამ ბაზებიდან აწყობენ შეიარაღებულ თავდასხმებს კუბის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

სწორედ ყველა ეს აგრესიული მოქმედება: კუბელი ხალხის სუვერენიტეტისა და რევოლუციურ მონაპოვართა უხეში ხელყოფა, მოურიდებელი და ცინიკური ჩარევა კუბის რესპუბლიკის საშინაო საქმეებში უქმნის ნამდვილ, და არა მოჩვენებით საფრთხეს მშვიდობასა და უშიშროებას.

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების IX საკონსულტაციო თათბირის გადაწყვეტილებანი მოწმობენ, რომ ახლა ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ რაღაც „სამართლებრივი საფუძველი“ მოუხაზონ თავიანთ მტრულ მოქმედებას კუბის წინააღმდეგ. მაგრამ საკმარისია ამ თათბირის გადაწყვეტილებათა ანალიზი იმისთვის, რომ ცხადი გახდეს მათი სრული იურიდიული უსუსურობა, ამკარა წინააღმდეგობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებისადმი.

მაგალითად I რეზოლუციაში „ღონისძიებათა გახორციელება კუბის დღევანდელი მთავრობის მიმართ „არის ცდა ბრალი დასდონ კუბის მთავრობას „აგრესიასა და ვენესუელის საშინაო საქმეებში ჩარევაში“, და ამ საბაბით გახორციელონ იძულებითი ღონისძიებანი კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მიხეცეს „ნებადაბა“ გაწყვეტონ დიპლომატიური ან საკონსულო ურთიერთობა კუბის მთავრობ

ჩვენი პლანეტა ამ დღეებში

ომი არ უნდა მოხდეს!

მსოფლიო პრესის გამოხმაურება ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვაზე ქ. ორჯონიკიძეში

ლონდონი, 9 აგვისტო. (საკდესი). გაზეთებმა „სანდი ტაიმსმა“ და „ობსერვერმა“ გვიან გამოშვებებში პირველ გვერდზე თვალსაჩინო ადგილზე დაბეჭდეს ცნობა ქალაქ ორჯონიკიძეში საზეიმო სხდომაზე წარმოთქმული ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შესახებ, რომელშიც მან დაგმო შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და გააკრიტიკა მეკობრული მეთოდები სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

გაზეთებს მოჰყავთ ნაწყვეტები ამ სიტყვიდან. „სანდი ტაიმსმა“ ორ სვეტს სათაურად წარუმძღვარა: „ხრუშჩოვი ბრალად დებს შეერთებულ შტატებს მეკობრულ მეთოდებს“.

ომი, 9 აგვისტო. (საკდესი). დღეს იტალიის პრესა ბეჭდავს ნაწყვეტებს ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ ქალაქ ორჯონიკიძეში წარმოთქმული სიტყვიდან, რომელშიც მან დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვაში იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ სსრ კავშირი განუხრელად ახორციელებს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპს.

სოციალისტური პარტიის ორგანო გაზეთი „ავანტი“ წერს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი ცდილობს ვიეტნამის საკითხის მშვიდობიან „გადაწყვეტას“ და „მოუწოდებს შეერთებულ შტატებს მოერიდონ უკიდურესობას“.

გაზეთი „პეზე სერა“ განმარტავს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს ომი, რადგან იგი მეტად ძვირი დაუჯდებოდა ყველას“.

ვოკიო, 9 აგვისტო. (საკდესი). დღეს იაპონიის გაზეთები ბეჭდავენ ცნობებს ქალაქ ორჯონიკიძეში საზეიმო სხდომაზე წარმოთქმული ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შესახებ, რომელშიც მან დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების სამარი მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ტოკიოს გაზეთი „სანკეი სიმბუნი“ ბეჭდავს სიტყვის მოკლე შინაარსს და ხაზს უსვამს საბჭოთა მთავრობის მეთაურის განცხადებას იმის შესახებ, რომ ამერიკის ხომალდები შეიჭრნენ ვიეტნამის ტერიტორიულ წყლებში და სცადეს საომარი მოქმედების პროვოცირება.

გაზეთი „მაინიტი“ აქცენტებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიტყვის მოკლე შინაარსს შემდეგი სათაურით: „ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება. პრემიერი ხრუშჩოვი ტონკინის ყურეში შომხდარი კონფლიქტის შესახებ“.

ვანა, 10 აგვისტო. (საკდესი). ავანის გაზეთები „ოი“ და „მუნდო“ თვალსაჩინო ადგილზე ბეჭდავენ ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ ქალაქ ორჯონიკიძეში წარმოთქმული სიტყვის დაწვრილებით შინაარსს, რომელშიც მან დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. გაზეთები ამბობენ, რომ საბჭოთა კავშირი იცავს მშვიდობიან თანაარსებობის ლენინურ პრინციპს.

ავბედითი ღრუბლები კვიპროსის ცაზე

ხიროსიმა ახსოვს მსოფლიოს

ნიკოზია, 9 აგვისტო. (საკდესი). გუშინ დაღამების შემდეგ სოფელ კოკინის რაიონში საომარი მოქმედება შეწყდა და გარკვეული სიმშვიდე დამყარდა. ნიკოზიაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობაში მოსული ცნობების თანახმად, ღამემ მშვიდად ჩაიარა და კუნძულზე არსად არ აღინიშნება ახალი შეტაკებანი ან თურქეთის ავიაციის თავდასხმები. მაგრამ კვიპროსის მეტ წილ ზღვისპირა ქალაქებში დაბნელების წესებს იცავდნენ.

მთავრობის ცნობაში, რომელიც დღეს დილით გამოქვეყნდა აქ, ნათქვამია, რომ წინასწარი ცნობების თანახმად, 8 აგვისტოს თურქეთის თვითმფრინავების თავდასხმის შედეგად, რომლებმაც ტყვიამფრქვევები და რაკეტები დაუშინეს კვიპროსის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე შვიდ ქალაქსა და სოფელს, დაზოგილია 33 და დაჭრილია 230 კვიპროსელი ბერძენი. მათ შორის არიან ქალები და ბავშვები. განცხადებაში აღნიშნულია, რომ კვიპროსის მთავრობამ მთელ რიგ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდა დახმარება გაუწიონ კვიპროსს საპაერო თავდასხმების მსხვერპლთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენაში.

პრეზიდენტმა მაკარიოსმა სასტიკად დაგმო თურქეთის სამხედრო-საპაერო ძალების თავდასხმა კვიპროსის მშვიდობიან მოსახლეობაზე. პრეზიდენტმა თავის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი მოქმედება ვერ გასტეხს კვიპროსელ ბერძენთა ნებისყოფასა და წინააღმდეგობას. „მზად ვართ, — თქვა პრეზიდენტმა, — უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვიბრძოლოთ სამშობლოს თავისუფლებისა და მთლიანობისათვის“. არქიეპისკოპოსმა მაკარიოსმა აგრეთვე გამოთქვა რწმენა, რომ თურქეთის მთავრობის „დანაშაულებრივ მოქმედებას“ დაგმობს არა მარტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო, არამედ მთელი ცივილიზებული და თავისუფალი სამყარო.

ნიკოზია, 9 აგვისტო. (საკდესი). თურქეთის რეაქტიულმა ავიაგამანადგურებლებმა განაახლეს თავდასხმა კვიპროსის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის ქალაქებსა და სოფლებზე. კვიპროსის რადიოს გადაცემაში ნათქვამია: „თურქეთის ავიაცია განაგრძობდა დღეს თავის დანაშაულებრივ და ბარბაროსულ თავდასხმას, იერიში მიუქონდა კვიპროსის კუნძულის მშვიდობიან მოსახლეობაზე. ავიაცია თავს დაესხა კუნძულის ჩრდილოეთ სანაპიროს დასავლეთ უბანზე მდებარე სოფლებს პოლისს, პაკამოსს, ლიმნის, იალისსა და პომოსს“. თვითმფრინავებმა ამ დასახლებულ პუნქტებს დაუშიეს რაკეტები, აგრეთვე ტყვიამფრქვევის ცეცხლი. „დაბომბვის შედეგად, — ნათქვამია ცნობაში, — პოპოსში ხანძარი გაჩნდა“. ჯეოჯერობით არ არის მიღებული მონაცემები მსხვერპლთა რიცხვისა და გამოწვეული ნგრევის შესახებ.

თურქეთის სამხედრო-საპაერო ძალების ოპერაციათა განახლებასთან ერთად კვიპროსის ნაპირებთან კვლავ გაჩნდნენ თურქეთის სამხედრო ხომალდები. როგორც კვიპროსის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, თურქეთის ორმა სეესკადრო ნაღმოსანმა ღუზა ჩაუშვა მანსურის ყურეში სანაპიროდან ოთხ მილზე.

მდგომარეობა კვიპროსში

როგორც ამ წარმომადგენელმა თქვა, ახალი საპაერო ოპერაცია დაიწყო იმის გამო, რომ კვიპროსელი ბერძნები, მიუხედავად საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის პაპანდრეუს მოწოდებისა შეწყვეტინ სამარი მოქმედება კუნძულზე, თითქოს განაგრძობდნენ იერიშს მიტანას კვიპროსელ თურქთა პოზიციებზე კვიპროსის კუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. (საკდესი). გუშინ კვიპროსის მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ სოფელ კოკინის ახლოს, კუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში თურქეთის ორმა საესკადრო ნაღმოსახმა გადმოსხა ჯარისკაცები და გადმოტვირთა სამხედრო აღჭურვილობა. ამას იუწყება ნიკოზიიდან ასოშიეტედ პრესის სააგენტო.

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. (საკდესი). თურქეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ქემალ სათირმა გააკეთა განცხადება, რომელშიც უარყოფს, თითქოს თურქეთმა ჯარისკაცები გადასხა კვიპროსში, ანკარიდან იტყობინება ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი.

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. (საკდესი). თურქეთის მთავრობა დათანხმდა პირობითად მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მოწოდება კვიპროსში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, იუწყება ანკარიდან იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი.

მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თურქეთი მზად არის შეწყვიტოს სამარი ოპერაციები კვიპროსში იმ პირობით, „თუ კვიპროსელი ბერძნები დატოვებენ კვიპროსელ თურქთა დასახლებულ პუნქტებს, რომლებიც ხელთ იგდეს“.



იტალიის ქალაქ ბერგამოში სან ვინჩენცოს სკოლაში აწარმოებენ ჰიპნოზური ძილის დროს სწავლების ექსპერიმენტებს. ძილს მიცემული მოსწავლეები ისმენენ მაგნიტოფონებზე ჩაწერილ გაკვეთილს. მეცადინეობამ, რაც ექიმების მეთვალყურეობით ეწყობოდა, ცხადყო, რომ ყველა მოსწავლე კარგად ითვისებდა მიცემულ მასალას.

სურათზე: ჰიპნოგაკვეთილი სან ვინჩენცოს სკოლაში.

ფოტო იუპი — აას-ისა.

საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

ათენი, 10 აგვისტო. (საკდესი). საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კოსტოპულოსმა დღეს განაცხადა, რომ თურქეთის ორმა სამხედრო თვითმფრინავმა დღეს დილით ცეცხლი დაუშინა კვიპროსის დასახლებულ პუნქტ პოლისს ქრისოქუს რაიონში.

კოსტოპულოსმა ახსნა-განმარტებისათვის გამოიძახა თურქეთის ელჩი ილქინი.

კოსტოპულოსმა განაცხადა აგრეთვე, რომ დღეს დილით თურქებმა ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაუშინეს კვიპროსელ ბერძენთა პოზიციებს დასახლებულ პუნქტ კოკინში. კოსტოპულოსმა გააფრთხილა თურქეთის ელჩი, რომ თუ თურქები განაახლებენ საომარ მოქმედებას, კვიპროსის მთავრობა განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს კუნძულის დასაცავად.

ამასთან დაკავშირებით საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა: საბერძნეთი შეასრულებს პირობას იმის შესახებ, რომ თურქეთის აგრესიის შემთხვევაში გასცემს ბრძანებას გამახორციელონ თავდაცვის ღონისძიებანი.

ზო ეი მინის განცხადება

ვანი, 8 აგვისტო. (საკდესი). დღეს ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გადასცა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტ ხო ში მინის პასუხი შეკითხვებზე, რომელიც მას 5 აგვისტოს მისცა იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს ტოკიოელმა კორესპონდენტმა ტონკინის ყურეში მომხდარ უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით. შეეხო რა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 6 აგვისტოს შესაბამის განცხადებას, ხო ში მინმა დასძინა:

„მინდა ვეუთხრა ამერიკის საზოგადოებრიობასა და მთელ მსოფლიოს, რომ მთელი ჩვენი ხალხი აღშფოთებასა და გულისწყრომას გამოთქვამს წინასწარ-განზრახული აგრესიის აქტების გამო, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ჩაიდინა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. მინდა აგრეთვე განვაცხადო, რომ მთელ ჩვენს ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს გაორკეცებული ძალით ამერიკის აგრესორებზე გამარჯვებამდე.

ჩვენი ძალა ჩვენი საქმის სიმართლე, ჩვენი ხალხის ერთობა და მამაცობა ის არის, რომ მხარს გვიჭერს მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, მათ შორის ამერიკელი ხალხი.

იმ დროს, როდესაც შეერთებული შტატების მთავრობას ომი გადმოაქვს ჩვენს მიწაზე, გულწრფელად მოვუწოდებთ ამერიკელ ხალხს და მთელი მსოფლიოს ხალხებს გააერთიანონ თავიანთი მეცადინეობა, რათა შევაჩეროთ დანაშაულებრივი აგრესია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ და ვიხსნათ მსოფლიო“.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო უარყოფს

ვანი, 10 აგვისტო. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ მარტო იმ ქვეყნებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჟენევის 1954 წლის თათბირში, აქვთ სრული უფლება გამოიძიონ უკიდურესად საშიში სამხედრო აქტები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ჩაიდინა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საპაერო სივრცის ახალი დარღვევა

ვანი, 10 აგვისტო. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის კავშირის მისიამ ვიეტნამის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიას გაუგზავნა წერილი, რომელშიც აცხადებს, რომ ამერიკის თვითმფრინავებმა კვლავ დაარღვიეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საპაერო სივრცე.

წერილში ნათქვამია, რომ 9 აგვისტოს ამერიკის ორმა მზვერავმა თვითმფრინავმა რამდენჯერმე გადაუფრინა ჰანოის სამხრეთ-აღმოსავლეთ მდებარე პროვინციებს.

ნიუ-იორკში დემონსტრაცია

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. (საკდესი). 500-ზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა გუშინ საპროტესტო დემონსტრაციაში იმის წინააღმდეგ, რომ თურქეთის თვითმფრინავებმა დაბომბეს კვიპროსი. ეს დემონსტრაცია გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ბინის შენობის წინ. დემონსტრაციის მონაწილეთა შორის იყვნენ „კვიპროსის თვითგამორკვევისათვის ბრძოლის ამერიკელთა კომიტეტისა და „საბერძნეთ-ამერიკის საზოგადოებათა ასოციაციის“ წევრები. დემონსტრანტებს ხელში ეკავათ პლაკატები, რომლებზეც ეწერა: „ინგლისო, შეწყვიტე თურქთა შეიარაღება!“, „თურქეთი საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობას!“ და „კვიპროსი კვიპროსელებს ეკუთვნით!“.

საპროგესტო მიჯინგები ჰანოიში

ჰანოი, 10 აგვისტო. (საკდესი). მიუხედავად წვიმისა ამინდისა, გუშინ მთელი დღის განმავლობაში ჰანოის ქუჩებში ნახავდით დემონსტრანტთა მრავალათასიან კოლონებს. გაისმოდა ლოზუნგები: „ძირს ამერიკელი იმპერიალისტები!“, „ამერიკელო იმპერიალისტებო, წაეთრიეთ სამხრეთ ვიეტნამიდან!“. ნაშუადღევს ჰანოიში გაიმართა ახალგაზრდობის 10-ათასიანი მიტინგი ლოზუნგით „მზადა ვართ დავიცვათ სამშობლო!“.

ცნობები, რომ საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები გაიმართა ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ, მოვიდა ნამდინიდან, ლაოკაიდან და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან.

თურქეთის თვითმფრინავები კვიპროსზე

პრეზიდენტ მაკარიოსის მიმართვა სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებისადმი

ნიკოზია. აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ კვიპროსის პრეზიდენტმა არქიეპისკოპოსმა მაკარიოსმა სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს გაუგზავნა დეპეშა იმასთან დაკავშირებით, რომ თურქეთის თვითმფრინავები თავს ესხმიან კვიპროსს და შეიქმნა საფრთხე, რომ თურქეთი კუნძულზე შემოიჭრება. თავის დეპეშაში იგი აცხადებს, რომ „თურქეთის მთავრობა ახორციელებს არაპროვოცირებულ საპაერო თავდასხმებს კვიპროსის ჩრდილოეთ სანაპიროს ქალაქებისა და სოფლების წინააღმდეგ, რის შედეგად დაიხოცა და დაიჭრა ასობით უდანაშაულო ადამიანი, მათ შორის ბევრი ქალი და ბავშვი. ეს სისხლისმღვრელი თავდასხმა დაიწყო 7 აგვისტოს და გაგრძელდა 8 აგვისტოს გვიან საღამომდე. გარდა ამისა, თურქეთის სამხედრო ხომალდები და ტრანსპორტები მიიწევენ კვიპროსის ჩრდილოეთ სანაპიროს მიმართულებით და, ალბათ, აპირებენ ჩვენს ტერიტორიაზე შემოჭრას“.

მაკარიოსი მოუწოდებს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს გამოიყენონ მთელი თავიანთი გავლენა იმ მიზნით, რომ ბოლო მოუღონ თურქეთის მთავრობის აგრესიის სერიოზულ აქტებს, რომლებიც დანაშაულია ადამიანობის წინააღმდეგ და სერიოზულ საფრთხეს უქმნიან მშვიდობას.

გარგაროსული აქტი

ლონდონი, 10 აგვისტო. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა კვიპროსის უმაღლესი კომისრის კანცელარიის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ გუშინ თურქეთის სამხედრო თვითმფრინავებმა უწესრიგოდ დაბომბეს სოფელ პომოსის (კვიპროსის ჩრდილო-დასავლეთი რაიონი) ჰოსპიტალი. „წინა დაბომბვის დროს ყველა დაჭრილი, რომლებიც ჰოსპიტალში გაგზავნეს, მათ შორის ექიმები და მედიცინის დები, დაიხოცნენ, დაზიანდა აგრეთვე წითელი ჯვრის საველე ჰოსპიტალი“.

დახოცილთა შორის ბევრია ქალი და ბავშვი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის

ქუთაისის სამთო ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა დამატებით მიღებას 1964-1965 სასწავლო წლისათვის დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილებების ქართული სექტორის შემდეგ სპეციალობებზე:

1. **ლითონიანი საბადოების და ქვიშრობების დამუშავების** (მარგანეცი, რკინა, ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ტყვია, ალუმინი, ბარმარილო, ბარიტი, გუმბრინი და სხვა წიაღისეულები);
2. **ლითონიანი საბადოების და ქვიშრობების ღია დამუშავების** (მარგანეცის, ქვანახშირის, რკინის, ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, ტყვიის, ალუმინის, მარმარილოს, ბარიტის, გუმბრინის, ასკანიტის და სხვა წიაღისეულების კარიერებით დამუშავება);
3. **ქვანახშირის მიწისქვეშა დამუშავების** (ყველა სახის წიაღისეული ქვანახშირები);
4. **სამთო ელექტრომექანიკური** (სამთამადნო მრეწველობის საწარმოთა ელექტრომექანიკოსები);
5. **ნავთისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვის** (გეოლოგიური საძიებო ჭაბურღილებიც საწარმოების სამთო ტექნიკოსები).

ტექნიკუმში მიიღებიან როგორც საშუალო სკოლის, ისე არასრული სკოლის კურსდამთავრებულები.

დაწერილებითი ცნობების გაგება შეიძლება ტექნიკუმში ყოველდღე. დღის 9 საათიდან 5 საათამდე.

მისამართი: ქ. ქუთაისი, პლეხანოვის ქ. № 44.

დირექცია.

საბერძნეთის ნაღმოსანი ანკარაში

ნაღმოსანი, 10 აგვისტო. (საკდესი). 12 ათასზე მეტი კაცი შეიკრიბა გუშინ იაპონიის ყველა კუთხიდან ატომური იარაღის აკრძალვის კონფერენციის საბოლოო სხდომაზე, კონფერენციისა, რომელიც 3 აგვისტოს დაიწყო ხიროსიმაში. კონფერენციის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ საზღვარგარეთელ სტუმრებს — მშვიდობის მსოფლიო საბჭოს, საბჭოთა კავშირის, მონღოლეთის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის, ინგლისის, ნიგერიის, ალეირის, ფინეთის, ლათინური ამერიკის ქვეყნებსა და სხვა ქვეყნების დელეგაციებს.

საზღვარგარეთის დელეგაციათა სახელით იაპონიის მშვიდობისათვის მებრძოლებს გულთბილად მიესალმნენ ჩიმიდი (ბონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა) გუდლეტი (ამერიკის შეერთებული შტატები), ვარელა (მშვიდობის მსოფლიო საბჭო).

სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა იაპონიის სოციალისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ნარიტამ.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წარმომადგენელმა ვარელამ კონფერენციის დელეგატებს აცნობა, რომ ნაგასაკის მცხოვრებნი დაჯილდოებული არიან მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ოქროს მედლით ნიშნით მათი დამსახურებისა მშვიდობისათვის, ატომური საფრთხის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დამცველთა სახელით საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა კონფერენციაზე გ. ა. ეუკოვმა პრეზიდიუმს გადასცა საჩუქარი — მოქანდაკე ვეჩეტჩის ნამუშევარი — მაკეტი საბჭოთა მეომრების ძეგლისა ბერლინში.

კონფერენციამ ერთსულოვნად მოიწონა გადაწყვეტილება იბრძოლონ იაპონიის ატომური შეიარაღების წინააღმდეგ, უატომო ზონების შექმნისათვის აზიისა და წყნარი ოკეანის რაიონში, ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტისათვის, ვიეტნამში, ლაოსში შექმნილი კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლაში ერთიანი მოქმედების გაძლიერებისათვის, იმისათვის, რომ განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ატომური ბომბის მსხვერპლთათვის დახმარების გასაწევად.

ერთხმად მიიღეს აგრეთვე ნაგასაკის მოწოდება. მოწოდებაში კერძოდ, დიდად არის შეფასებული მოსკოვის ხელშეკრულება როგორც ღონისძიება, რომელიც შეესაბამება იაპონელი ხალხის მოთხოვნებს.

ქრონიკა

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის მთავარი სამმართველოს ბაზაზე შექმნა რუსეთის სფსრ საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიური კომიტეტი.

კვლავ დიდი ანგარიშით...

ცსკა — „ტორპედო“ (ქუთაისი) 4:0 (4:0). მოსკოვი. 9 აგვისტო. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი — პაუჩინსკი (ალმა-ატა).

ცსკა — ბაუეა (ფროლოვი), პონომარიოვი, შესტერნევი, ბაგრიჩი, სემიგლაზოვი, მანოშინი, ბასალიკი, დოროდნიხი, ფედოტოვი, კაზაკოვი (გრეკოვი), პოლიკარპოვი; „ტორპედო“ — ურუშაძე, ლოსაბერიძე, ნიშნიანიძე, ოდიკაძე, კუტიავაძე, სიამაშვილი, ავალიანი, ჩხარტიშვილი, ხაჟალია, ისიანი, ხერხაძე.

შეანასანელ მატჩებში გახშირდა „ა“ კლასის გუნდებისათვის უჩვეულო ანგარიშები, მაგრამ სამწუხაროა ის ბრალი, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენი რესპუბლიკის გუნდებზე მოდის. თბილისის დინამოელთა და ქუთაისის „ტორპედოს“ წარეკეტებლობას მოსკოვსა და კიევში — 1:4, 0:3 — მოჰყვა ტორპედოელთა კიდევ ერთი დამარცხება და ისიც 0:4.

ეს ანგარიში ფიქსირებულ იქნა ცსკასთან პაექრობაში.

რა მოუვიდათ „ტორპედოს“ მცველებსა და მეკარეს, ან რას აკეთებდნენ თავდამსხმელები?

აი როგორ წარიმართა ეს მატჩი:

არმიელთა ინიციატივა თავიდანვე იგრძნობოდა. ტორპედოელთა მცველები ზედმეტად ნერვიულობდნენ, სცოდავდა მეკარე ურუშაძე. [illegible] რვე მის შეცდომას უნდა შევწეროთ პირველი გოლი, რომლის ავტორი ფედოტოვი იყო. 21-ე წუთზე ტორპედოელთა მცველებმა ჩათვალეს, რომ კაზაკოვი თამაშგარე მდგომარეობაში იყო, მაგრამ სასტიკად მოტყუვდნენ და არმიელ ფეხბურთელს ისღა დარჩა ანგარიში გაეზარდა. 5 წუთის შემდეგ ფედოტოვმა მესამე ბურთი გაიტანა, ხოლო ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ბასალიკმა გაზარდა ანგარიში.

4:0 არმიელთა სასარგებლოდ — ასეთი იყო ტაიმის შედეგი.

ტორპედოელებს არც მეორე ნახევარში შეუწუხებიათ დიდად თავი, გარდა კუტიავაძისა, მოეშვნენ, ხელი ჩაიქნიეს და შეურიგდნენ წარუმატებლობას — 0:4.

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩის შედეგია ფრე — 1:1.

სამი ლიდერი

კიშინიოვი. (სპეც. კორ.). აქ ერთ კვირაზე მეტია გრძელდება ჩვენი ქვეყნის საუადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი ვაკეთა შორის. ფინალში გასვლისათვის საქართველოდან იბრძვიან კიკიანი და ბოკუჩავა.

უკვე გათამამდა ხუთი ტური. **მესამე ტურში** ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ყაიმით დაამთავრეს პარტიები: კიკიანმა — ნიკიტინთან, ბოკუჩავამ — გიპსლისთან. **მეოთხე ტურში** კიკიანი წარმატებით იბრძოდა აბრაზიატის წინააღმდეგ და დაამარცხა მეტოქე, ბოკუჩავამ მოიგო ნიკიტინს. **მეხუთე ტურში** კიკიანი ყაიმს დასჯერდა კუზმინთან პარტიაში, ბოკუჩავამ წაიგო აბრაზიატისთან.

სულ ნახევარფინალში 18 მოჭადრაკე გამოდის. ოსტატის წოდების მოსაპოვებლად დაწესებულია 10 ქულა.

ხუთი ტურის შემდეგ ლიდერები არიან — **კიკიანი, ლუტიკოვი** და **ჭალილბეილი,** რომლებსაც სამნახევარ-სამნახევარი ქულა აქვთ. სამ-სამ ქულა აქვთ **ჩესნაუსკასსა** და **კუდრიაშოვს,** ორნახევარ-ორნახევარი ქულა — **ბოკუჩავას, როზმანსა** და **კლოვანსს.**

ბ. მაჭავარიანი.

სსრ კავშირის თასზე

ბუფინ კიევში შეიდგა სსრ კავშირის თასის გათამაშების მორიგი მერვეფინალური მატჩი ფეხბურთში ადგილობრივ დინამოელებსა და ბაკოს „ნეფტიანიკს“ შორის.

შეხვედრის შედეგია 4:1 კიეველთა სასარგებლოდ.

ქომუნისტი

სპორტული ქრონიკა

□ **კიევში** დამთავრდა საერთაშორისო შეხვედრა მძლეოსნობაში. წარმატებით გამოვიდა ცნობილი საბჭოთა სპორტსმენი ქალი **ირინა პრესი.** მან 80 მეტრზე თარაჯნებში აჩვენა დრო 10,5 წამი და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა. სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა კონკურსგარეშე მონაწილე **ვ. ბრუშელმა.** მან დაძლია სიმაღლე 2 მეტრი და 24 სანტიმეტრი. **რ. შავლაყაძის** შედეგი იყო 2 მეტრი და 6 სანტიმეტრი.

□ **პარაშუტისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოეწყო, ჩინეთელთან გამოვიდა ომსკელი სპორტსმენი ვალენტინა ელიმვერსტოვა, რომელმაც პირველი ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა. 1000 მეტრი სიმაღლიდან კომბინირებულ ხტომაში შეაგროვა 396,017 ქულა.**

□ **ამსტერდამში** დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში ვაკეთა შორის. **საბჭოთა სპორტსმენებმა** ამ შეჯიბრებაზე მაღალი შედეგები აჩვენეს, ევროპის ჩემპიონები გახდნენ — ვ. **ოსტნოვი;** ო. **ტიურინი** და **ბ. დუბროვსკი;** ოქროს მედალი მოიპოვა აგრეთვე **საბჭოთა ოთხეულმა** მესაჭით.

მინსკის ნახევარფინალურ ჭურნირზე

მინსკი. საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის მეექვსე ტურში ნოსკოვმა მოუგო ვალიევს, ბოიარინოვმა — მიკენასს, სუეტინმა — ბირბრაგერს. გაფრინდაშვილმა უკეთეს პოზიციაში შეიდომა დაუშვა და წაგო მუხინთან. ზილბერი და ეტერუკი ყაიმზე შეთანხმდნენ. **დანარჩენი პარტიები გადაიდო.** **გურგენიძეს** უკეთესი პოზიცია აქვს ვოორემაასთან.

დღეს გაიმართება მეშვიდე ტური.

ქომუნისტი

სპორტული ქრონიკა

□ **კიევში** დამთავრდა საერთაშორისო შეხვედრა მძლეოსნობაში. წარმატებით გამოვიდა ცნობილი საბჭოთა სპორტსმენი ქალი **ირინა პრესი.** მან 80 მეტრზე თარაჯნებში აჩვენა დრო 10,5 წამი და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა. სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა კონკურსგარეშე მონაწილე **ვ. ბრუშელმა.** მან დაძლია სიმაღლე 2 მეტრი და 24 სანტიმეტრი. **რ. შავლაყაძის** შედეგი იყო 2 მეტრი და 6 სანტიმეტრი.

□ **პარაშუტისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოეწყო, ჩინეთელთან გამოვიდა ომსკელი სპორტსმენი ვალენტინა ელიმვერსტოვა, რომელმაც პირველი ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა. 1000 მეტრი სიმაღლიდან კომბინირებულ ხტომაში შეაგროვა 396,017 ქულა.**

□ **ამსტერდამში** დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში ვაკეთა შორის. **საბჭოთა სპორტსმენებმა** ამ შეჯიბრებაზე მაღალი შედეგები აჩვენეს, ევროპის ჩემპიონები გახდნენ — ვ. **ოსტნოვი;** ო. **ტიურინი** და **ბ. დუბროვსკი;** ოქროს მედალი მოიპოვა აგრეთვე **საბჭოთა ოთხეულმა** მესაჭით.

მატჩები და შედეგები

საკავშირო ჩემპიონატის კიევ სამი მატჩი შეიდგა გუშინ „ა“ კლასის პირველი ჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივებისათვის.

მოსკოვში გაიმართა ერთ-ერთი ცენტრალური პაექრობა დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბისა და დედაქალაქის „დინამოს“ გუნდებს შორის. შეხვედრა დამთავრდა „დინამოს“ გამარჯვებით 3:2.

აუტსაიდერი — ლენინგრადის „ზენიტი“ საკუთარ მოედანზე თამაშობდა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ წინააღმდეგ და გაიმარჯვა 4:1.

მატჩი იაროსლავლში მინსკის „დინამოსა“ და იაროსლავლის „შინიკის“ ფეხბურთელთა კოლექტივებს შორის